


კ ვ ა ლ ი



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურ ნახაზიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღს.

№ 12 მ ა რ ტ ი 16 1897 წ. № 12

შინაარსი: ნეკროლოგი.—ერობა ჩვენში პ. ს.—ქესი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—მოვარობის განცარგულებანი—თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო, ლექსი ვნ. ნინო ორბელიანისა.—„კვალის“ კორესპონდენტები.—ცხოველთა შთანჩენის განცხადება, (შემდეგი) ჭანსი.—პოლიტიკური პარტიები ტერმინაში, (შემდეგი) ნ. უ.—ისი.—გვირგვინი განდევნილსა.—მიწათმფლობელობა აფხაზეთში, (შემდეგი) პ. ჭ.—ასი.—პოლიტიკური ამბავი.—ბიბლიოგრაფია, (დასასრული) თ. კვავაძისა.

† ნ ე კ რ თ ლ ო გ ი .

თავადი ნ. ზ. ჭავჭავაძე.



თ. ნიკ. ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

მარტის 5-ს გარდაიცვალა თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძე — ერთი ჩვენი საუკეთესო მამულისშვილი, ცნობილი მეომარი და აღმინისტრატორი, განსვენებული დაბად 1830 წ. კახეთს, ს. ყვარელში და თბილისის გიმნაზიაში აღიზარდა. 16 წლის ჰაზუკი უკვე მილიციაში ითვლებოდა და თავის ქვეყანას ლეკთა მტარელობისაგან იცავდა. შეიღწა წლის განმავლობაში მან ნამდვილი ეაქციის სახელი მოიხვეჭა და ჯილდოთ სამი „კინი“ მიიღო. 1853—54 წლებში თათრებთან ომიანობაში, განსვენებულმა ახალი დიდება შემატა თავის სახელს. შემდეგ დღისტინის დაპყრობის დროსაც გმირულათ იღწოდა.

1859 წ. იწყება განსვენებულის სააღმინისტრაციო მოღვაწეობა. დღესტანში, ამ მოთან ქვეყანაში მან რამდენჯერმე ჩააქრო ატეხილი ამბოხება, ხალხი დამშვიდა და მყუდრო წარმატების გზაზე დაყენა.

1876 წელს თ. ნ. ჭავჭავაძემ განჯის გუბერნატორის ხარისხამდის მიიღწია და შემდეგ დღისტინის ოლქის სამხედრო გუბერნატორათ დაინიშნა. ბოლო

დროს განსვენებული დაჭრილთა შემწე კომიტეტის წევრათ ითვლებოდა.

ეს არის წარჩინებული პირის ცხოვრების სარბიელი, გულითა და საქმით ჩვენი ქვეყნის მკვიდრი და მოსიყვარული შვილისა და ქომაგის. მისი ანდერძი ნამდვილი ქართველი გულის ანდერძია. განსვენებულმა იცდა ხუთი თასი მანათი დატოვა ორი სტუდენტისა და ყვარლის გლებთა შვილების აღსაზრდელათ.

მისი სიკაცხე, წუთი სოფლის სარბიელი — მამულის დაცვა, საქართველოს ქომაგობა იყო და განსვენებულის ანდერძი მთელი მისი ცხოვრების გამომახტველია. მას ყოველთვის ახსოვდა სულითა და ქონებით დაკმეული თავისი სამშობლო და მაღალი საპატიო ადგილი ადმინისტრაციაში ძლიერებით მოსაგება მის სიტყვას, საქართველოს ერთგულის გამოსაჩილებას. პირდაპირ, უშიშარი და შემართებული, განსვენებული მტკიცეთ იღვა იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის სეგბედის ჩარხი იმართეს და მამულის სიყვარული იყო მისი სიტყვისა და საქმის სულის ჩამდგელი.

თ. ნ. ჭავჭავაძის დაკარგვა — მიძივა ჩვენ უკაცურსა და უფერულ დროში. იქ, სადაც განსვენებული მტკიცე მოსაჩილებე გვიდგა, დღეს აღარავინა გვაყავს და, ვინ იცის, მოვესწრებით თუ არა მის ბადალს.

ჩვენმა საზოგადო საქმედაც დაკარგვა გულმხურვალე თანამგრძობი, კეთილი მზრუნველი და უანგარო ქომაგი. ქართველთ საერთო საქმე — მისი პირადი საქმე იყო, იგი არ აკადგებოდა მას და ყოველთვის წრფელის გულით ემსახურებოდა.

განსვენებულის კუბო მრავალი გვირგვინებით იყო შემკული, რომელთა შორის იყო „ქართველთა დამაპყრობისაგან, დაღესტნის ქართველთაგან, წერაკითხვის საზოგადოებისაგან, დაღესტნის ოლქის თანამოსამსახურე ხელმეფეთაგან და სხვ. თ. გრ. აბაშიძემ გრძობიერი სიტყვა უძღვნა განსვენებულის სახელს და ჩვენმა მგოსანმა აკაკი წარეთელმა შემდეგი ლექსით შეამკო.



ყო და გაქარა! აი ეს არის სიტყვა ყველასთვის უკანასკნელი! და სადღურათაც სამარადსათ ვიწრო საფლავი, ცივი და ბნელი!


ან დასაბამი რა იყო ჩვენი? ან რა იქნება აწ დასასრული? ვერ სჭრის გონება, იქეთ აღესილი და ვერც საესებით გვისახავს გული.

გრძნობა-გონების სასწორის რყევას ამავრებს მხოლოდ სარწმუნოება: ის სიყვარულის პირმშა ნათელი, თვით სასოება და სათნოება.

ეს გვაძევს ვალათ ყველა მიწისშვილს და ნეტარება ამის ვადამხდელს.. იმ ქვეყნათ სული მიაქვს ნათელი და ამ ქვეყნათ კი დასტოვებს სახელს.

და შენც ც'ვარა!.. ქვეყნიურ ვალის ქრისტიანულათ ხარ ვადამხდელი: იქ წინაპრებთან მხელო პირნათლათ, აქაც სახელს დამტოვებელი!

„იყო და გაქარა უმნიშვნელოთა!“ რომ ითქვას შენზე არა გვაქვს ნება.. მშვიდობით ძმაო, ქართველთა შორის კუთხხეულ იყოს შენი ხსენება!..



ეროზა ჩვენში.



ს ევებერთელა იმპერია, რომლის ერთი კუნძული დღეს ჩვენ გვიჭარავს, დაყოფილია რამდენსამე დიდ ნაწილებათ, მაგ. შიდა რუსეთ, ფინლიანდია, პოლონია და სხვა ყველა ეს ნაწილები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თავის დამოკიდებულებით ცენტრალურ მართებლასთან, არცთეე შინაგან წესწყობილებით, — იმ უფულებებით, რომლითაც თვითთაველი მათგანი აღჭურვილია თავის შინაურ საქმეთა ვადლოლა წაყვანაში. აი თუნდ ფინლიანდის პატარა სათავადო, რომელსაც აქვს თავისი სენატი, თავის სახელზე მოჭრილი ფული, საკუთარი სკოლები, რომელთა შემწეობით სწავლა-განათლება ისე გავრცელდა ხალხში, რომ დღეს სოფლის მკვიდრი უბრალო სკოლური განათებით არ კმაყოფილდება: იმასაც უნდა სახალხო უნივერსიტეტის ლექსიცა და უცრის გეგმებით დატკბეს. წარმოიდგინეთ ახლა ნახევრათ ევროპაში შიდა აზრის საფეხობელოები, რომელთა მკვიდრნი, სხვა რომ არა იყოს რა, დღესაც მოკლებულნი არიან მტკიცე და სამუდამო ბინადრობას. ამ გვართ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, რუსეთის იმპერიის ზოგი ნა-

წილი წინ წაიდა, ზოგი კი დღესაც დაქვეითებულია. საუბედურათ, უკანასკნელთა რიცხვში ჩვენცა ვართ. ჩვენ არამც თუ ფინლიანდაის ვერ შევედობებით, არამედ მოკლებულნი ვართ იმისთანა ადგილობრივ დაწესებულებათაც, რომელთა ნაყოფიერი მოქმედებით ტიბეტში შიდა-რუსეთი, დღესაც ჩვენ კეთილ-დღეობაზე ზრუნავს ადმინისტრაცია, ჩვენ არ გვაქვს უფლება და შეძლება ჩვენსავე საქმეზე თითონ ვიზრუნოთ. საადმინისტრაციო მზრუნველობისაგან მხოლოდ ოდნე თავისუფალია ჩვენი თავდა-აზნაურება, და იგი თავის საქმეებს თითონვე უძღვება. მაგრამ სათავად-აზნაურთა კომპლუსი უფლება აქვს, მხოლოდ თავის პირდაპირ მოთხოვნებზე იზრუნოს, შეუძლია თავის წოდების ინტერესები დაიცვას. ცხებვება კი ისეთი რთულია, წოდებათა ინტერესები ისე გადახართული არიან ერთმანეთში, რომ ყოველი წოდების კეთილდღეობა საზოგადო წარპარტებაზე, საზოგადო წინმსვლელობაზე არის დამოკიდებული. აქედან ის ლოგიკური დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ, თუ რომელიმე წოდების ნამდვილი წინმსვლელობის მიღრეკილება აქვს, აუცილებლათ უნდა ცდილობდეს თავის საქმეებთან ერთად ყველა წოდებათა, კეთილ-დღეობაზე, საზოგადო უფლებების გაფართოებაზე იზრუნოს. მართლა ამ გზას უკვე დაადგა ჩვენი თავდა-აზნაურება. ერობის შემოღებაზე ზრუნავენ ორივე გუბერნიის კეთილშობილნი. თბილისის გუბერნიის თავდა-აზნაურობის კრებამ, თავის სხდომაზე, 1894 წელს მაისის 30 გადასწყვეტა ჩვენში ერობის შემოღებაზე იზრუნოს, ხოლო ამ კითხვის გამოსარკვევით არჩეულ იქმნა კომისია გუბერნიის და მაზრების წინამძღოლთაგან; დაწერილებით შემუშავებული პროექტი უნდა წარედგინა ამ კომისიისთვის თ, გ. მ. თუმანიშვილს. მართლაც ბ. თუმანიშვილმა უკვე შეიმუშავა დაახლოებით პროექტი და წარადგინა კუთვნილებისამებრ. ჩვენ კი დამედებულინი, რომ თავდა-აზნაურთა ყოველ ღონეს იღონებს, თავის სურვილის განხორციელებისათვის, შეძლებისდაგვარათ ვეცდებით გავითვალისწინოთ, თუ რა მიზანი, უფლებანი და საუფლებელი აქვს ერობას.

ყოველი საადმინისტრაციო ერთეულის უჯრედი არის ოჯახი, ოჯახები თავისი მოთხოვნებით ის ელემენტები არიან, რომელთა შეერთებათ ნელ ნელა შემდგარია მთელი სახელმწიფო თავისი რთული მოთხოვნილებებით. რამდენიმე ოჯახი შეადგენს სოფელს, სოფლები—მაზრას, მაზრები—გუბერნიას, ხოლო უკანასკნელნი—რომელიმე მოზრდილ საადმინისტრაციო ერთეულს, როგორც მაგალითად კავკასია, ფინლიანდია და სხვა. ამათგან შედგება სახელმწიფო. თვითთავად ოჯახს თავისი მოთხოვნებიანი აქვს,

ეს მოთხოვნებიანი ორ გვარი არიან; ზოგის დამყოფალება შეუძლია თვით ოჯახს, თავისივე ძალიანით, ზოგის დასაკმაყოფილებლათ კი ერთი ოჯახის ძალა საკმარისი არ არის; აქ საჭიროა ოჯახთა გუნდ-ის ან სოფლის საერთო მოქმედება. ასეა, ვთქვათ, სკოლის გახსნა, სასოფლო გზის გაკეთება, სოფელიც ზოგ თავის მოთხოვნებთან თითონ აკმაყოფილებს, ზოგსაც სხვა სოფლებთან ერთათ. ამ მოთხოვნებებათა გასაძლიერათ თვითთავად ოჯახსზე, გაწერილია გადასახადი. იმას ეს გადასახადი სასოფლო სალოაროში შეაქვს; სოფელიც ამ მოგროვილი თანხის ერთი ნაწილით აკმაყოფილებს თავის კვიძო მოთხოვნებს, მეორე კი სამაზრო სალოაროში შეაქვს, ასევე იქცევა მაზრაც და გუბერნიაც. ამ გვართ, გადასახადი არის სამ გვარი: სასოფლო, საერობო და სახელმწიფო. პირველის მიზანია სასოფლო ინტერესების დამყოფილება, მეორესი—სამაზრო და საგუბერნიოსი, მესამესი კი—სახელმწიფოსი. რაკ საზოგადო მოთხოვნილებანი და გადასახადი ასე დაყოფილია, აქ ძალა-უნებურათ ერთი კითხვა იბადება: ვინ უნდა გაანაწილოს ეს გადასახადი, ვინ უნდა მოახმაროს ის იმ საქმეს, რომლისათვისაც იგი იკრიბება? ცხადია, თუ რა გვარი პასუხი მოსდევს ამ კითხვას და მართლაც, თვით უმაღლესი მთავრობის სიტყვითაც, რავეს არ შეუძლია ისე გულ-დასმით, ისე გულ-მოღვინეთ აწარმოვოს საქმე, როგორც მას, ვისაც ეს საქმე ეკუთვნის. ის არავისთვის არ არის საჭიროებელი ცუდი, შეუფერებელი განკარგულების შედეგი და ისე არავინ არ იხატება და ზარალობს, როგორც თვით საქმის პატრონი. ავიღოთ სულ უბრალო საქმე. ვთქვათ, გინდათ, მაზრის საერობო შემოსავლით გააკეთოთ ხიდი, ფულს იხდით. გინდათ საქმე თქვენი სასარგებლოთა და შესაფერათ მოაწყუთ, მაგრამ დაწე უბედურებას! თქვენი ნაოფლარი ფულით, თქვენივე სასიკეთო საქმე სხვისი ხელით კეთდება თქვენი კი არა, სსკისი ზუღმძღვანელობით. ამიტომაც ხშირათ ამისთანა ხელმძღვანელობას არა სასურველი შედეგი მოჰყვება ხოლმე. ეს კარავთ ჰქონდა გათვალისწინებულთ უმაღლეს მთავრობას და აი ამიტომაც ზემო მოყვანილი სიტყვების დაკვალათ, შიდა-რუსეთში მან საჭიროთ სენო ადგილობრივ საჭიროებათა მართვა-გამართლის უფლება მიენიჭება თვით მცხოვრებლებისათვის და ამ გვართ დაარსდა ერობა. ერობა რუსეთში შემოღებულ იქმნა 1865 წელს. ხოლო 1890 წლის დებულებით ერობას ზოგერთი უფლებანი მოაკლდა ზ მისი ძალა ძირველ შეცვცილ იქმნა. ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ უკანასკნელ კანონის ძალით შეცვცილ ერობას და მის უფლებათ.

სხვა-და-სხვა ამბავი.

სუთშაბათს, 13 მარტს, ნაშუადღევს 5 საათზე, მობრძანდა ქ. თბილისში კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადრუტანტი თავადი გრიგოლ სერგეის ძე გოლიციანი. მთელი გოლოვინის პრესანქტი, ოლგის ქუჩა, ქალაქის განაპირა საბურთალოსის, ხალხით იყო მოკლული; გამწყრივებული იღვა ჯარი და თბილისის სასწავლებელთა მოწაფენი.

თავადი გოლიციანი მეუღლითურთ პირდაპირ სიონის სობოროში წაბრძანდა, სადაც მისი ყოვლად მაღალ უსამღვდელესობა საქართველოს ეპისკოპოსს ელაღიბის სიტყვით მივიდა.

პარაკლისის შემდეგ თავადი გოლიციანი სასახლეში წაბრძანდა, სადაც კვლავ იქნა პარაკლისი გარდახდლი.

ქალაქი ბიარალებით იყო მორთული და საღამოზე სასახლის წინ ქუჩა და აღექსანდრეს ბლი ჩიხალდნებით გაანათეს.

* *

ქ. თბილისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროში იმის შესახებ, რომ თბილისის გუბერნიამი შვე კირთან საბრძოლველათ ათასი თუმანი იქნას გადაღებულნი.

* *

ჩვენ მოგვივიდა ანგარიში „მასწავლებელ ქალების საზოგადოებისა, რომლის წლიური კრება არის დანიშნული დღეს, საღამოს 4 ს. (სამეურ. საზ. დარბაზში). თერთმეტა წელიწადი რაც არსებობს ეს საზოგადოება. მართალია, შეძლება ბევრი არა აქვს, რადგან თბილისში სხვა-და-სხვა საზოგადოება, მაგრამ თავის წევრებს, მასწავლებლებს მაინც შესაძინებ პატრონობას უწყევს: ვაჭიროების დროს ფულს აქედს სესხათ და, თუ საჭიროება მოითხოვს, მუდმივ შემწეობასაც აძლევს ხოლმე. დროებით უბინავე მასწავლებელ ქალებისთვის ოთახი აქვს, ბიბლიოთეკა-სამკითხველო მოწყობილია შეგინებრათ, წევრთათვის ლექციების კითხვა იმართება ხოლმე სხვა-და-სხვა საგანზე. ამ საზოგადოებას შეუძლია კიდევ უმაღლესი კურსების გამართვა, კარგი ლექტორები (მკითხველები) რომ მოიპოვებოდეს თბილისში. გვერანია, არც ერთი კარგი საქმე, როგორც მაგალითათ საკვირაო სკოლები, სამკითხველოების და სახალხო საკითხავების გამართვა, სალიტერატურო დილები, ზოუნვა ბავშვების აღზრდაზე და სხვა — უიმართოთ არ დაწყებულა. ამ საზოგადოებას საკუთარი სკოლაცა აქვს.

* *

დღეს 12 საათზე გორის კლუბის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება გორის მახრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობისა. ამ მეურნეთა ახალ საზოგადოებას მიზნათ აქვს დახმარა-ს ჩვენ მემამულეთ, რაც ჩანს მ-სი წესდების მე 9 მუხლიდან: „ყოველი წევრი ამხანაგობისა შესვლის უმაღლეს მოვალეა გადაიხადოს: ა) „შესასვლელი ფული ყოველ წილზედ ათი მანეთი და ბ) წილ-ს ფული 100 მან.“ ამხანაგობა დახმარებას გაუწევს თავის წევრს როგორც კრედიტის მოპოვებაში, აგრეთვე ყიდვა-გაყიდვაში. მაგრამ ყველაზე უფრო საკულისხმოა ერთი მუხლი წესდებისა, სადაც ჩანს, რომ ამხანაგობას, გარდა ჩვეულებრივი კრებისა, ნება აქვს შეიკრიბოს მოსალაპარაკებლათ სამეურნეო მრეწველობის საქიროებაზე. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თუ საზოგადოება გაძლიერდა და თავის საქმეები კარგათ წაიყვანა, მაშინ ის ამ თავის უფლებას ჯეროვან ყურადღებას მიაკცევს და ამ მხრივ მის მოღწეებას ექნება არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა.

* *

მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულმა გააგზავნა ქუთაისის გუბერნიამი კავკ. საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტები—სტაროსელსკი, როლოვი და ფირალოვი და ექსპერტთა თანაშემწენი—კანდელიერი და თ. ნაკაშიძე. ამათ დაეკლებული აქვთ, ენახოს პატრონებს დარიგება მისცენ ამერიკული ვაზის მოვლა-მოწეებისა და მისთვის საჭირო ნიადაგის მომზადების შესახებ.

* *

ვაზ. „სწოპის ფურცელში“ კითხულობთ: გუშინ დილით ჩვენს რედაქციამო მოვიდა ათი კაცი და შემოგვირეგეს შემდეგი: აგერ სამოცი წელიწადია, რაც დედასდლით თავად ბარათაშვილის მიწაზე, რომელიც მდებარეობს ერის უბანში, იქ, სადაც ჯვარია ვიღრე სასაულოამდე, — ავაშენეთ სახლები, დადებინა-ლით, ზოგმა საბუთებიც იშოვნა, მაგრამ უმეტესობას ქართველურ დაღვერობით არაფერი საბუთი არ აქვს და არც უფიქრია ამაზე. ამ ყმათ ოთხმოც კომლამდე მოხელენი ვართ და კიდევ ვინდით ქალაქის ხარჯსაო. ეს მესამე წელიწადია, რაც დავა დავიწყებს თამაშშევის სახელით ვიღაც მეღვინეომა და პატრიანცმო და სულ ერთიანათ დაგეწიოკეს და აგვერანა-ვესო. ამ დღებში ერთ ჩვენთაგანს გაუყიდეს სახლი


და 80 წ. მოხუც და ავთმოყოფს დედაკაცს უკანასკნელი ფარდავი გამოაცალეს და ისე დასტოვეს ფიციკული ლოგინის ანაბარა ქუჩაშიო. საზოგადოთ ისეთ მდგომარეობაში ვართ, ისეთი გამოწერება გვაღვია, რომ ლამის სულ ერთიანთ მტკვარში ვაღავეარდეთ ჩვენის წერილ-შეიღობით. ჩვენ მუშა ხელისანი ვართ, ვერ ვიცლით საჩილეულათ და საღვეიდარბოთ, რადან ყველანი ლუკმა-პურის მნატერელები ვართო და სხვა.

* *

ს. ილიმი (შორანის მახრა). ჩვენ გვეწერენ, რომ ს. ილიმში ბ. დ. ზ. მავთერაიანს განუზრახავს ქართული ბიბლიოთეკის დაარსება. ამ ბიბლიოთეკისთვის მას უყვე შეუძენია ექვსასამდე წიგნი. იმედია, ვინაც შეუძლია, შემწეობას აღმოუჩენს ამ ყთილ საქმეს.

* *

ვახეთ „კელოს“ რედაქციამ მიიღო ორი ახლათ გამოცემული ქართული წიგნი: „ადეთის გვირგვინი, ქართველ ეზრულთა ლეგენდა, აკაკის“ და „ჯაბა-ჯაიანი, მოთხრობა ლექსათ, გიორგი გვაზაისი“. ჩვენი პოეტისაგან შეგნიერთ გამოასხული ლეგენდა „ადეთის გვირგვინი“ ღრმა აზრანი პოეზიით არის საესე. პოეტმა ხალხის გულში ნამდილ მარგალიტს მიავნო, თავისი ნიჭის ბეჭედი დასავა გამოაქვეყნა, ლეგენდა ღამაზ ნამცეკა წიგნაკათ არის გამოცემული ქ. ქუთისისში და ღირს ერთ შუროათ.



მთავრობის განკარგულეებანი.

უმაღლესი სახელ-ღმბული ბრძანება უმართებულესს სენატს *).

მავკასიაში „ნაქეტნიეობას“ გაუქმებას შემდეგ, ჩვენის ღვთის მიერ განსვენებულ მშობლის სურვილისამებრ დამტკიცებულ იქნა 1883 წელს 21 აპრილს აწ მოამქედია სამოქალაქო წესი კავკასიის მხრის მართვა-გამეკობისა.

კოლეგებო რა საზოგადო წესს ამა მართვა-გამეკობისას, რასაც საგნათ აქვს, რად შეიძლება მეტათ დასახლოეოს კავკასია რუსეთთან და პირდაპირი გაქმირი და-

ამკვიდროს სსენებულ ქვეყნის ცალკე სამართველოთ და ჟურფან სამინისტროთა შორის, ჩვენ საკთილოთ დავისნესთ ეჭურ უმაღლესის უფლების წარმომადგენელს მივეცთ ნამდვიანი ღონისძიებანი, რათა ამ ქვეყნის სასარგებლოთ განთამინოს განრონის მიერ მინსტრული უფლება რეკონიის და შეთავაფურებას, აღადინოს, სდაც საწირო იქმება, ძალა განონისა, ადგალობრიე სადამინისტრაციო დაწესებულებათ ისეთი მიმართულება მისცეს, რომ მოვაგლობას სამსსურვისს აღსრულონ და დიეცვას მის მიმართველობას ქვეშე-მოყოფათ მივიღობინი წარმატება.

ამის გამო, მინისტრთა კომიტეტის აგებულების თანახმით, ვბრძნებთ:

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართველის უფლებათა და მოვაგლობათა შესსება დადგენილ იქმნას შემდეგი დროკითი წესება, იმ დროადე, ვადრე განრო-მდებლობის წესით იქმნება განდინეული კავკასიის მხრის მართვა-გამეკობისს აწ მოამქედ დაწესებულების დადგენილებაში.

1) თუ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართველმა დინასა რამე უწესოება და ნაკლი კავკასიის სადამინისტრაციო და საზოგადოებრიე დაწესებულებაში, მოვაგლო მტკიცე ღონისძიებანი მიიღოს ამ უწესობების მოსახშობათს და სქმის განონისამებრ მიმდინარეობის აღსადგენათ და ამასთანვე აცნობოს მინისტრებსა და ცალკე ნაწილების მთავარ-მართველთ, კეთენილებაშია.

2) საგავგეო შემოსევაში მთავარ-მართველს შეუძლიან დაარდვიოს გუერნიის და ოლქის სადამინისტრაციო ადგილთა (განონთ კრებ. ტ. II, 1892 წლის გამოცემა, საზოგადო საგუერ. დაწესება, მუხ. მე-14) და კავკასიის მხრის საზოგადოებრიე დაწესებულებათა დადგენილებაში და შემდეგ თავისი განკარგულებას იმ საგნების გამო, რომელსაც შეეკობოდ მის მიერ დაარდვეული დადგენილებაში, აღსრულებაში მოიყენოს, თავისსავე მასუნის-შეკებლობათ, ისე კი, რომ მან, მთავარ-მართველმა, დაუყოვნებლიე აცნობოს უმართველესს სენატს და აუწიოს მინისტრებსა და ცალკე ნაწილთა მთავარ-მმართველთ, კეთენილებისამებრ, ის მიხეზნი, რომლისა გამოც მან ასეთი ღონისძიება იმხარა.

3) თუ გამოამიება გამოამკარგავ არა კთილ-სამიედობა, თუ რომელსამე უწევებაში ცსადი ბაროტ-მოქმედება და საზოგადოთ შესანიშნავსა და ისეთი შემოსევაში, რომლის დროსაც ცდა არ შეიძლება, მთავარ-მართველს, უწესობების მოსახშობლათ, უფლებას ელევას დაუყოვნებლიე გადაყენოს თანამდებობიდან, დადგენილ წესით დახოფნამდე, კავკასიის სადამინისტრაციო უწევებათ და საზოგადოებრიე დაწესებულებათ-თანამდებობის შემონენი, ცალკე ნაწილთა მიმართველობისა, მხრის და

*) გადმობეჭდილია კაზ. „ივერიდან“.

გუბერნიის თავად-სწავრობის წინამძღოლთა და იმ თანამდებობის მქონეთა გარდა, რომლებიც ნაჩვენებია მთავრობის მიერ განწესებულ სამსახურის წესდების მე-169 მუხ. (კანონ. კრებ., ტ. III, 1896 წ. გამოც.).

4) იმ თანამდებობის მქონეთა სამართლის შესახებ ტექსტში მიხედვის მხრივ, რომელთა თანამდებობიდან გადაყენების უფლებაც, ამავე წესდების მე-3 მუხ. ძალით, მინიჭებული აქვს მთავარ-მართველს,—იგი სარგებლობს იმ უფლებებით, რომელიც ნაჩვენებია 1880 წლის 22 სექტემბრის უმაღლესთა დამტკიცებულ გუბერნიის დროებით დასავლელიერებლთა დანიშნულ სენატორთა უფლებათა და მოვალეობათა შესახებ ბრძანების მე-27 პუნქტში, სოლო მაშინ კი, როდესაც უოველი გარემოება საქმის განხილულ იქნება მთავარ-მართველის საბჭოს მიერ.

5) მთავარ-მართველს ნება ეძლევა, როდესაც ამას სჯობით დინაზეს, კავკასიის საადმინისტრაციო უწყების ცალკე ნაწილთა მმართველთა მოთხოვნას, რომ მას წარუდგინონ განსხილველთა განზრახვა თვისი ამა თუ იმ თანამდებობაზედ ვისიმე გამწესების შესახებ, თუ ამ თანამდებობაზე მოსულთა დანიშნვის საქმე ანსებულ წესით იმათს უფლებას შეადგენს.

6) ამ წესდების 1—5 მუხლში მოხსენებულ საადმინისტრაციო და სასოციალურებრივ დაწესებულებათა შესახებ დადგენილებათ არ ექვემდებარებიან სასაღმწიფო კონტროლისა და სასაღმწიფო ბანკის დაწესებულებანი და ამ დაწესებულებათა თანამდებობის მქონენი.

7) იმ უფლებათა გარდა, რომელიც მოხსენებულთა კავკასიის მხრის მართავ გამკეობის დაწესებულებათა მე-28 მუხ. და მე-27 მუხლის 1 და 2 პუნქტ. (კანონთა კრებ., ტ. II, 1892 წ. გამოც.), მთავარ-მართველს ნება ეძლევა ცნობარება დეკრეტალის კავკასიის მხრის რომელსამე ადგილას და სასოციალთა ამ ქვეყანაში იმათ, რომელთა იქ უფლებების მიერ მავნებლათ იქნება დანახული, სოლო მაშინ-კი, როდესაც უოველსავე გარემოებას ამა საქმისას განხილვას მთავარ-მართველის საბჭო. უმართველეს სენატო ნუმეტ დაყოვნებს ამის დასრულებლთ ჟეროვან განკარგულებათა ცაცქმას.

ნამდვილ მხრის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის სელით აწერის:

„ნიკოლოზი“.

ცარსკოე სელი.

3 მარტი 1897 წლის.

თ. ნ. წ. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო.



იორის ყოველი წერთაშათ, დიდი, პატარა, ჩრეილი! კიდევ დაპირება მამულთა საუტეთესო შვილია.

ვინ მამა იყო ობოლთა, მალამო წყულლის გულისა; ვინ განუჩრეველათ ზოუნადლა, მომცემი სიხარულისა.

მის სიმართლისა სიტყვიანი გაჰკეთდა ვითა ხმალია, აზრი, გრძნობა და გონება ჰკვესავდა ვითა ფალია.

სიმართლისათვის უშიში, თამამი, არა მხლალია, ესე მოკეზორადა, დეკარგეთ, სოფელი შეუბრალია.

ვით აღწერს ჩემი კალამი, გმირო, შენ მამაკობასა, შენ სიბრძნეს, შენსა სიმართლეს, პირუთენელ მოქმედებასა,

ამაყობს შენით სამშობლო, ამაყობს ჩენი ქვეყანა; შენი სახელი უკვადვი არის, იქნება ყველგანა.

ქ. ნინო ორბელიანისა.

10 მარტი 1897 წ.

„კვალის“ კარესპონდენტები.



უნძული სასაღმწიფო. მოწყალეობა ხელმწიფეს, ქრედაქტორი! უმორჩილესათ ვითოვეთ კუნძულ სასაღმწიფო მცხოვრები დასჯილი ქართველები თქვენი პატრიცემული ყურანილი „კვალის“ საშუალებით შეეძამლებინათ უგულთათადესი მად-

ლობის ვადაზა, „მწყემსისა“ და „მეურნის“ რედაქტორებისთვის, ისინი უფასოთ გეგზავნიან თავიანთ გამოცემებს. დიდ მადლობას გიძღვნით აგრეთვე თქვენც, ქანო რედაქტორო, რომ „კვლას“ გვიზავნით უსასყიდლოთ. გულს გვაკლია, რომ „იერიისა“ და „მომამისა“ რედაქტორებმა უსრულდება არ გვათხოვეს დედა-მშობს კიდევ გადაკარგულ ქართულებს და თავიანთ გამოცემებს არ გვიზავნიან. ვარა აპი-სა, განზრახვა მაქვს, ორიოდ სიტყვა მოვახსენოთ ჩვენ მდგომარეობაზე.

„კატორგა“ ხომ ძნელი და აუტანელია, ადამიანს დამზავრებლად მადლობა ვებუდო, მაგრამ დღეს „კატორგაზე“ უფრო მიმეც ვადა-შესრულებულებისთვის კუნძულ სახალონზე დასახლება, „პოხი-დენკობა“. მართალია „კატორგაზე“ დიდი-დანი საღამომდის მუშაობს საქცი, გარდა უქმი დღეებისა, მაგრამ ლუკმა პური და საღამოობით ბინა არა აქვს საქმებარი, აგრეთვე კარგი თუ ავიტანისა და ფეხის სამოსი... მხოლოდ როდესაც ადამიანი „კატორგას“ მოჩვენა, ციხიდან გამოადგებენ, საქმელს მოუპოვებენ და საომელსა და ბინას არ აძლევენ. საწყალი შესტირის ცასა და ქვეყანას, თავ-პირს იღვრეს და ღამის გასთევე ადგილსაც ევრსად პოულობს. აქაური მოსახლეები უმეტესათ რუსები არიან, ნატუსლარი ხალხი, რომელთაც თან მოჰყვამათი ცოლშვილი. ამათზე არ ითქმის, რომ ჩვენებურ კაცს უთანაგრძობოთ ეკადებოდენ, მაგრამ რა უნდა ვააყყონ, რა თანაგრძობა უნდა აჩვენონ, როდესაც საცოდავით სიკოცებენ გამწარებულ აქეთ, თეთიონაც ცოლშვილი შიმშილით ეხოცებოთ.

მკრეკ საშუალებათ მხოლოდ ის მივჩანია, რომ აქ ძველი ნატუსლარი გლეხები არიან, რომელთაც ათი-თორამეტი წელია, რაც ოჯახზე ხელი აქეთ მოაკადებულთ: ხანდისხან ისინი დაიქურენ ხოლმე მოჯამავრეთ ციხიდან გამოვდებულ ტუსაღს. მოჯამავრობა მხოლოდთ სახელია: ფულს ერთ კაპეისაც არ აძლევენ, მარტო ტანისა და ფეხის სამოსი, ბინა და ხარჯი უნდა აძლიონ. ამისთანა მოჯამავრე აქ ბედნიერი კაცია. ბევრს ბედი არ გაუტყინებს ხოლმე და მოჯამავრობას არ აღირსებს. ოჯახის პატრონი გლეხების რიცხვი ძრიელ მკრეკა, ციხიდან გამოშვებულნი კი ასჯერ მეტნი არიან, და იმათვან ძვირათ თუ ვინმე იშოვის ამისთანა ბედნიერ თავ-შესაფარსა და ლუკმა პურს. დანარჩენთა ყოფა ცხოვრება ვაძაღლებულია. ჯან-საღმა მუშა კაცმა ნელ-ნელა შიმშილით სული უნდა დალიოს. სამოწყალოს არ ვითხოვ, გთხოვთ საშუაო მიშოვითო, — შესტირის ყველა საცოდავი ადამიანი და ყველა ამოჯამავრე არ არსებობს. აქ ხშირათ დინახავთ, რომ

გამწარებული ადამიანი იმ სისხო ხეს ჩაბშია და მიათრებს ტყიდან, მოროვლსაც ჩვენში უღელი ხარკი ევრ მოკრევა. ათი-თორამეტი ევრსტის მანძილზე უნდა ათრიოს საზარლომ ეს ხე და მერე ვაჰყიდის თუ არა, დმერთმა იცის. თუ ვაჰყიდა, ერთ შურის მეტს ევრ მოიკებს, ამ შურით უნდა იყოლოს პური „პააკი“ (ტუსაღის დღიური სამი გარვანძუ პური). ახლა სახლის ქირაც სჭირდებათ, თევეში ერთი მანეთი, ტანი-სა და ფეხის საცმელი... გულის მომწყველ ყინევაში ტრეველ-შიშვლები ჩჩებიან. ხშირათ ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი იძულებულია ისეთი რამ ჩაიდინოს, რომ ისევე „კატორგას“ დაუბრუნდეს. და მართლაც ბევერი ჩავარდენ ხელშეკრეთ სასჯელში.


არ იფიქროს მკითხველმა, თითქო მე შემწეობას ვთხოვდებ საზოგადოებას. რომ გამოიღოს კიდევ, უნაკოფოთ დარჩება. ასეთთა აქაური მთავრობის განკარგულება. უბედურ ხალხს აქ იქერს ღ ციხიბრში კარ უშეგებენ, სადაც ბევერი საშუაო ღ გამოსარჩენია, სადაც ყველა თავის შესაფერ საქცი იშოვის. ამისთანა მდგომარეობა ბუნება კი არ გაუსწორებს ადამიანს, ახალ სასჯელში ჩავადებს ხოლმე. მხოლოდთ აქ ნათლათ დინახავს ადამიანი, რამდენი შესძლებოა კაცის ბუნებას, რამდენი უბედურების ატანა ძალ უძს. მოვალეობათ მიმჩანია, რადგან დღეს კარვით მესმის ჩემი მდგომარეობა, დარიგება მივაწოდო ჩემ ტოლთ, ყურადღება თუ მათხოვეს, იქ, სადაც ეშობილებო და მიტოვოთა უბედურ დღემდის: ეცადეთ, თავი შეიკავოთ, თორემ სახალანის დღე ძნელია. მეტადრე ზოგიერთ ჩვენ ყმაწვილ თავადაზნაურებს ვაფრთხილებ და ვეველები, ჭკვით გაიარონ და ჩემი წამხდარი დღე გაიხსენონ. მანდ, სამშობლოში, მე არ მინდოდა, ჩემ კისერზე ვისმებს ევლო, აქ კი მთელ-ევენ და მთელევენ არჩენათ და მე მადლობის მეტს ვერაფერს ვეუბნები, თუმც ნაღვლით გული მისკდება.

საზოგადოება ჩვენ ვერაფერს დაგვეხმარება: მხოლოდთ ვთხოვთ ჩვენ ჭირს-უფლებებს შეძლებისადავარათ მოვავაწოდონ შემწეობა, სანამ ვადა შეგვი-სრულდებოდეს და ციხიბრში გადავიდოდეთ, ე. ი. ექვს წელს. გთხოვთ და გვედრებოთ შვილებო და დამძანო, შემწეობა მოვავაწოდოთ თქვენ მკვიდრსა და სისხლს.

ერთი დასჯილი ქართველი.




დასა ჩინაქაუნი, (გური). საზოგადოთ სიმინდი ძალიან იაფია წელს გურიში: ფუთი 28 - 30 კ. ღირს. ამიტომ სოფლები ძალიან ტულ მდგომარეობაში



სურ. I. Amoeba polypodia.

a. — გული.

აქ ნაჩვენებია ის თან-და-თან იცვლილება, რომელსაც განიცდის უჯრედი განმევალის დროს.



სურ. IV.


I. — პოლუსის სხეულები; II. — საკერძო უჯრედის გული, რომელსაც protocoelus ეწოდება.
 აქ ნაჩვენებია განვითარება: კერძისა, ვიღებ განვითარებულს.
 პოლუსის სხეულები თან-და-თან იცვლიან, უჯრედს საკერძო უჯრედს.



სურ. II. კერძები Ascaris megaloccephala.

n. — გული უჯრედისა, a. — პოლუსის სხეული. a₁ და a₂ ორი პოლუსის სხეული.

აქ ნაჩვენებია, თუ როგორ თან-და-თან იცვლება გული და პოლუსის სხეულები რომელიც ორათ განვითარებთან.



სურ. III.

ch. — ანტროპოტივის მარჯვენა. a. — უნტროპოტივი ძაფები, d. — პოლუსის სხეულების გარშემო პლაზმატიური სხეი.

აქ ნაჩვენებია, თუ როგორ თან-და-თან ანტროპოტივიანი ძაფები უჯრედის გულისა დაიკუმს, ერთმანეთს დაშორდნ და ორ პოლუსზე მოექცენ.

ქართველებს ისე კარგათ უყურებდენ, როგორც სხვა
 ეროვნობის გაღმოსახლებულთა. იმათ ისევე იწვე-
 ვდენ ამ გაყრანებულ სახელმწიფო ადგილებს ვასა-
 შენებლათ, როგორც სხვა ეროვნობათა წარმომად-
 გენებებს. კავკასიის უმაღლესი მთავრობა მეტათ
 კარგი თვლით უყურებდა იმათ. სიხუმის ოლქის
 აღმინისტრაციამ აქ გაღმოსახლებული მეგრელობა,
 დარაშმულ-დაწყობილი ცხენ-უნაგირით, რომ და-
 ხვედრა და წარუდგინა განსვენებულ კავკასიის მთა-
 ვარ-მართებელს ღონდ-კარსაკოს და, როცა მათი
 ყოფა-ცხოვრება და ვითარება მოხსენდა მას, განსე-
 ნებულა მთავარ-მართებელა—მოავითარებენ მეგრე-
 ლები—თუმცე მეტათ კმაყოფილი და ნასიამოვნები
 დარჩა. მეგრელები მარტა იმითუმ კი არ ეთვისებან
 ფხაზეთის ცხოვრებას, რომ აქაური ჰაე მათთვის
 უკრა ადვილი ასატანია, თეთი ცხოვრების პირობე-
 ბაც ხელს უწყობენ მეგრელების გაღმოსახლებვას ფე-
 ხაზეთში.. სენატორი პ. ვ. ტატარინოვის ჩვენებით
 (ნახ. დამატ. ზემოაღნიშ. მოხსენებისა), ადამიანის
 საკვებ მცენარეთაგან აფხაზეთში უფრო გავრცელებ-
 ბულაა სიმინდი და ღომი, რადგან სხვა ხარბლეუ-
 ლობა ცხელი და ნესტიანი ზაფხულია გამო უფრო
 ჩალს იკეთებს, ვინემ მარკალს. მართლაც, სიმინ-
 დის ოდენა სარგებლობა ჯერ ჯერობით არც ერთ
 სხვა მცენარეს არ მოაქვს აფხაზეთში. (ჩვენ თითონ
 ეცნობდით ერთ მდიდარ გერმანელ მემამულეს,
 რომელმაც ბევრი რამები სცადა, მაგრამ ბოლოს
 იმნაც სიმინდის მოყვანა უფრო სახიროთ დინახა).
 სიმინდის მოყვანა ჩვენ ხალხს უფრო ეხერხება ვი-
 ნემ სხვა ერის გაღმოსახლებულთ. ვენახის კეთებაც
 ჩვენ ხალხს უფრო ეხერხება, რადგან ძველის ძველი
 დროიდან მიეჩნია ამ დარგს მეურნეობისას. ხეზე
 აშვებული ვაზი (მალღარი უფრო სახიროა აფხაზეთ-
 ში) ბლომთ ისხამდა ყურძენსა; უცხო კოლონის-
 ტები, რადგან ხეზე ვერ ასულიყვენ და იქ ვერ მო-
 ეკრიფათ, მიდიოდენ და ხესა ჭრიდენ და ისე კრეფ-
 დენ ყურძენს, მეორე წელს კი პარში ჩალაგამოკლ-
 ებულა რჩებოდენ... ჩვენი ხალხი ვაზის მოყვანისა
 და ღვინის კეთების გასაუმჯობესებლათ არაფერ ცო-
 დნას არ უაყრის... ოღონდ კი რივიანს მიაწვდი-
 დენ.

ამ სახით, რაკი მეგრელობა აფხაზეთის ჰაეს
 ადვილათ იტანს, ადგილობრივ ბუნებისა და ცხოვ-
 რების პირობებს უყთ ეწყობა და, სადაც ეს საჭი-
 როა, უყთაც ენტძის, იგი იმხარათ იკიდებს ფეხს
 ახალ ნიდაღაზე და ახალს ქვეყანაში. ამასთან ის თავს
 არ ამეზრებდა მთავრობას დღე-ყოველ სხვა-და-სხვა
 ხეწნა-მუდართთ: ესა და ეს შედეგათ გვიწყობობთ,
 ესა და ეს დახმარება გაკეციფოთ, რასაც ჩაღო-

დენ სხვა ტომის გაღმოსახლებულნი.
 მეორე ნაწილი გუმიტის სამოქალაქოსი და წე-
 ბულდაში მდებარე ადგილებსა, როგორც ზეითი მო-
 გხენეთ, ეკუთვნის კერო მემამულეებს, „პამეშჩა-
 კებს“. აფხაზეთის ამ ნაწილში დაურავს მიწა უფ-
 რო იმისთანა პირთ, რომელთაც თვი იჩინეს სამ-
 ხელო, თუ სამოქალაქო სამსახურში და მით დამ-
 მსახურეს ყურადღება უმაღლესი მთავრობისა. ადგი-
 ლობრივ მცხოვრებელთაგან მხოლოთ ერთგულთ
 ცობილთა და საწვდელო პირთა აქეთ მიცემული
 აქ ადგილები „ამ შენეირი და ფართო ადგილების
 პატარენებს, იცხებდაეთ მითი ნაძვლილი სამხედრო
 და სამოქალაქო ღვაწლისა, სრულიად არაფერი არ
 გაუკეთებიათ, თვისი ქვეყნის კულტურულ განვითა-
 რებისათვის“. (ჩიბ. 11 გვ.).

მ. ჭ—სა.

(შემაღვი აქნება)

პოლიტიკური ამბები.



არტის 10 დიდმა სახელმწიფოებმა კუნძულ
 კრიტის „ბლოკადა“ დაიწყეს. საბერძნეთის
 ეველა გემებს კუნძულზე მისაღელი გზა მოე-
 ჭრათ. ექვს დიდ სახელმწიფოთა და ნეიტრალურ
 ქვეყნების გემებსა აქეთ მხოლოთ ნება კრიტის ნათ-
 სადგურებში შესვლისა და საქონლის შეტანისა, მხო-
 ლოთ საქონელის შეტანა საბერძნეთის ჯარისათ-
 ვისა ან კუნძულის შიდა ადგილებსათვის აკრძალუ-
 ლია.

ერთი გერმანელი ვაჭრეთის კორესპონდენტი
 ეწვია კრიტის მთავრობეთა და თათის მთავრულიე-
 ბანი გამოაქვეყნა, „კრიტის მცხოვრებლები მტრუ-
 ლათ უყურებენ ევროპელებს და პოლიკონიკ ვასოსს
 ესაყვედურებინ, რათ იგვიანებს და კანებს თავს არ
 დაესხმისო, მემომოხენი მზთ არიან, ევროპელითა
 ჯარების წინა აღუდგენ. ჩვენ 30 000 შეიარაღებული
 მემომარი გყავსო და ჩვენი მბრძანებელი მხოლოთ
 კაროლი გეორგია და სხვა არაიწო.

ევროპიელ ფლოტთა უფროსებმა პრაკლავა კა
 გამოსცეს, რომლით უცხადებენ მემამობეთა და სა-

ბერძნეთის ჯარებს, თათრების სიმაგრეებზე თავ-დასხმას ერიდნითო. ეს სიმაგრენი კრიტის ნავთ სადგურებში წესიერებისა და მშვიდობიანობის დასაცველათ არიან საჭირონიო.

ადმირალთა მეორე განცხადების ძალით, ევროპიელთა ფლოტი მტრულათ დაუხვდება და ზარბაზნებს დაუშენს ბერძნების გემებს, თუ ეინიკობა იხინი ამ ფლოტისაგან შეკრულ წყლებში შესვლას გაბეღენ.

* *

ბრწყინვალე პორტა გადაჭრილსა და პირდაპირ პასუხს არ აძლევს ევროპიელ სახელმწიფოებს კრიტის შესახებ. ამ სახელმწიფოებმა მოთხოვეს ოსმალეთს, კუნძულის ამა და ამ ადგილებში მოათავსენ შენი ჯარებიო, პორტა კი უპასუხებს, ეს საკითხავი მხოლოდ შემდგე, კრიტზე თვით-მართველობის შემოღების დროს, გამოირკვევაო.

* *

ინგლისელ პოლიტიკოსთა აზრით საბერძნეთის ნავთ-სადგურთა შეკერა უსარგებლოა. ბერძენთა ჯარი უკვე გაყვანილია და ოსმალეთის საზღვარზე დგას ბრძოლისათვის სრულიად მომზადებული; ამიტომ საბერძნეთის შეკერა არაფერი საშუალებდა ოსმალეთისა და საბერძნეთის შორის მომავალი ომის წინააღმდეგ.

* *

7 მარტს მცირე აზიის ქ. ტოკატოს ოსმალეები თავს დაესხნენ სომეხებს და ასი კაცი მოჰკლეს. რვა საათის განმავლობაში მთელი ქალაქი, სადაც 15000 სომეხი ცხოვრებს, ბრძოლიერულ მტარვლათა ხელში იყო. ევროპის სახელმწიფოთა ელჩებმა ენერგიულათ მოთხოვეს ოსმალეთის მთავრობას პასუხის გება და დამნაშავეთა დასჯა. ტოკატოს ამ საქმის გამოსაძიებლათ კომისია გაიზარუნება.

ბიბლიოგრაფია.

Очеркъ виноградарства и виноделия въ Туріи и Мингреліи кн. Е. Накашидзе. Тифлисъ. 1896 г.

(დასასრული °)



თველი გურია-სამეგრელოში იწყება აგვისტოს (მარიპობის თვე) დასლვეიდან და ძველდება ზოგჯერ დეკემბრამდის (ქრისტიშობის თვე). ყველაზე უმაღლესი იზაბელა; ადგილობრივი ყურძნისაგან აღრე შემოდის საშაჭრე. იზაბელას დიდ ხანს აღარ გააჩერებენ ხეზე, რადგან მტევნებს სუსტი ყურწი აქვთ და ცენეს იწყებენ. ადგილობრივი ყურძენი კი შესაძლებელია დიდ ხანს დარჩეს ხეზე. ვაზის სენის გამოჩენამდის ღინაოების დასაყენებლათ ძალიან ამწიფებდენ ყურძენს, რომელსაც ჰკრეფდენ დეკემბერში და იანვარში. მაღლარ ყურძნის დასამწიფებლათ არაერთარ ხელოვნურ საშუალებას არ ხმარობენ, დაბლაისათვის კი ზოგჯერ ბაბილოს (ვაზის ფურცლებს) გამოჰკრეფენ, შეათხვენებენ.

მაღლარის ყურძნის კრეფის დროს საჭიროა კარგი, მზრალი ამინდი, თვარა წვიმის დროს დიდად საშიშია ხეებზე სიარული. საზოგადოთ მაღლარის მკრეფელი მარჯვე და კარგი ხეზე მოსიარულე უნდა იყოს. ყურძნის კრეფის დროს გურია-სამეგრელოში უცხო კაცის ყურადღებას მიიქცევს თავისი ორიგინალობით ერთნაირი ჭურჭელი, რომელშიაც ყურძენს აკრებდენ ხეზე და რომელსაც ჰქვია გიდელი. ეს წრმოადგენს თხილის ტყეით დაწულ გრძელ, შაქრის თავის ფორმის კალათს, რომელსაც ვიწრო წვეტიანი ბოლო აქვს. ეს წვეტიანი ბოლო ხელს უწყობს ხშირ შტოების შორის თავისუფლათ გავლას. ძველ დროში ისეთი მოსავალი ცოდნია მაღლარის, რომ ერთ ძირ ხეს ორ-სამ დღეს ეგრ დაკრეფდა თურმე ერთი მკრეფელი. მკრეფელს დღეში შეუძლია 7-8 ფუთი ყურძნის მოკრეფა. ახლა მაღლარის მოავალი სახსენებელიც არაა; იზაბელა კი გვარიან მოსავალს იძლევა.

მოკრეფილ ყურძენს წურენ საწინახელში, აქა-

ური საწინაღობო მხოლოდ მით განიჩნევა იმერულ და ქართლ-კახურ საწინაღობისაგან, რომ ტუბილის სადენი არა აქვს თავში გამოჭრილი, ყურძნის გადამარცვლა და გვარის კვალობაზე გადაჩნევა-გადმოჩნევა გურია-სამეგრელოში არ იციან. იზაბელას კი არ შეურყევენ ადგილობრივ ყურძნის უკანასკნელს, თუ ბერის შებრავდა, ზვრის კვალობაზე კი არჩევენ: შავს ერთათ, ხოლო თეთრს ერთათ. ყურძნის წურვენი ფეხებით, ცუდი ღირსების ადგილობრივი ყურძნის წვეწის გასაუმჯობესებლათ საშუალებას არაფერს ხმარობენ. იზაბელას წვეწის კი ზოგჯერ დასხამენ ადგილობრივ ყურძნის ქაჭაზე, რაც ერთ-გვარ ბუნებრივ სუნს უქარავს ხოლმე იზაბელას.

ღვინოებს გურია-სამეგრელოში აყენებენ ყოველნაირი ფერისას, რომელთა შორის უპირატესობა თეთრს ეძლევა. ღვინის ფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აყენებენ, ღვინოს, და არა ყურძნის ფერზე. თეთრი ღვინის დასაყენებლათ საჭიროა ტუბილი არ გააჩერონ ქაჭაზე და გაწურვისათავე ტურში ჩაასხან ამისთვის საწინაღობო ერთი თვით აწეულ აქვს, ხოლო მეორე დაწეული. აწეული თავისკენ ყურძენი იწეობება ამ დროს ტუბილი დაწეული თავსკენ მიდის და იქ გროვდება. ქაჭაც რომ არ გაყვეს თან ტუბილს, ამისთვის დაწეებული მხარისკენ ქაჭას გემობრის ან ჩაღის ფურცლებს უწყობენ, რომელშიაც ტუბილი გადის და იწმინდება. აქედან ორშუბით 1) იღებენ ქარცაში (კოკა 2) და ასხამენ ტურში, ამნაირათ დაყენებულ ღვინოს ჰქვია ფოთი ან ფეხში გამოფეხი. ის არის წმინდა ფერისა და სასიამოვნო გემოსი, მაგრამ დიდ ხანს არ შეინახება. წითელი და საზოგადოთ საძველო ღვინის დასაყენებლათ ტუბილს ტოვებენ ქაჭაზე 3-7 დღემდის. ამ დროს განმელობაში რამდენჯერმე კიდევ გაწურავენ ანუ როგორც ამბობენ, უზამენ პირველს, მეორეს და მესამე ფეხს.

ღვინო ინახება და დულს ტურში (ძვეერი, ქოკო). ტურებს ადგილობრივ აყეთებენ და ჩაფლავენ მიწაში, მარანში 3). თავს უცობენ ტურს როგორც

(მეგრულათ ორგუ 4) და ჰგაზენ წითელი მიწით (თინით). ტურის გასაწმენდ-გამოსარეცხათ ხმარობენ ორწისუბს 5), წყალის ამოსაქცევათ ორგოპუს 6), ხოლო ღვინის ამოსაღებათ კოპეს 7).

ღვინო ტურში ათავებს დიდს და წყნარ დუღილს. პირველი შემდეგ, რაც თავდება 7-14 დღემდის, ღვინო მაქრათ იხმარება. წყნარი დუღილის შემდეგ კი, - დეკემბრის დამლევს ან იანვრის დამდეგს, - იციან ღვინის ჩაღვრეა. ამისთვის ხმარობენ ყურძენ ჭუპუს (გურიაში) და ზანეტს (სამეგრელოში). შემდეგ, ახალ წელნიადისა და ყველიერის შორის, იციან ღვინის კლამობა, დაზაფა. ეს მდგომარეობა იმაში, რომ სავსე ტურებს მოხსნიან თავს და სიღობს-სიპატარაის კვალობაზე მოაკლებენ ღვინოს. ვაზაფხულზე ღვინის გადაღების დროს ეს დანაკლისი ხშირათ შეესებული უხეხებთ. ეს პირველ შეხედვით განსაკვიფრებელი, არა ჩვეულებრივი მოკლენა უნდა იხსნას ფიზიკური კანონით, რომელსაც ჰქვია ენდოსმოსის კანონი. ამ კანონის ძალით ჩვენებურ ტურების უჯრედებში ნიადაგის წყალი უნდა შედოდეს და ტურს ავსებდეს. შესაძლებელია თბილი ამინდის დაწყების გამო განახლებული დუღილის მიზნით იყოს ეს. პარტში და პარილში ღვინოს თხლეს ამორებენ ხოლმე და ერთი ტურიდან მეორეში გადაიღებენ. ძველ დროში კარგ ღვინოებს თხლენდევ ტოვებდენ, რაც არავითარ ენებს არ აძლევდა თურმე.

ღვინის ავთმოკვობათა შორის გურია-სამეგრელოში მოხასსენებულა: 1) ღვინის მონაცეა ანუ გადაბრუნება. ეს მდგომარეობს იმაში, რომ ღვინო

გარეთ, კოზში ჭურჭები აქვთ ჩაფლული. მეგრულათ ასეთ მარანს ჰქვია ალაგანე. ასეთი, მარანი შეზრგლულაა ხოლმე ცხიქლას სკეპით; თუ სკეპი არაა, მაშინ ტადაგანს აკეთებენ ჭურჭების თავზე და ზედ იხაბულას ვაზს უშუბენ.

2) როგორც არის ხისგან გაკეთებული ტურის საწქეპლი.

3) ორწისუბი წარმოადგენს გრძელ ჟოსს, რომელსაც ერთ თავზე შემოკრული აქვს მქერხლას ფურცლები.

4) ორგოპე თავ-მოჭრილი მწარე ხაში (კვასი). რომელიც წერხით თოკებით ორ ჟოსსკა მიაგრებული. ტურში ერთი ჟოსის საშუალებით ჩაბიჭვავებას ხაში, მეგრე მეორეს შემოკრებით გადაბრუნდება და წყლთ იხიკესა.

5) კოპე იგივეა, რაც ორშუბი, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ პირველს უგრძესი ტარა აქვს და ვიწრო პირი.

1) ორშუბი (მეგრ. სეპა) არის მწარე ხაშისგან (კვასი) - *Lagenaria vulgaris* - გაკეთებული ტუბილის ამოსაღები ჭურჭელი, რომელსაც თავი აქვს მოჭრილი და მოკლე ტარა აქვს გაკეთებული.

2) ჭარბა ფუთიანი თისის ჭურჭელია. იმაზე დიდს ჰქვია საწევი, დორა, ნაკლეს კი დოპი.

3) გურია-სამეგრელოში მარანს უწოდებენ, გარდა ჩვეულებრივი მარანისა, კიდეც იმ ადგილს, სადაც მარანს

იმღერება, მკვდება და სიღამის სუნი უჩნდება.

2) ლენის დამარბა და 3) პრის მოღება. ამთ საწინააღმდეგო საშუალებას არაფერს ხმარობენ, გარდა ხშირათ გადაღებ-გადმოღებისა.

საუკეთესო ლენიობათ გურიაში ითვლება: 1) ჩხაერის ლენო—ღებვა ამავე სახელწოდების ყურძნისაგან. მაგარა, სურნელოვანი, ნაზი, შუშხუნა, სასიამოვნო ტბილი, ოდნე მომკავეო. ეს ლენო მოგვაგონებს შამპანურ ლენოს. ადგილობრავი ერთი საწყავი (ოჩი ფუთია) ღირს 5—10 მანეთამდის. 2) ჯანის ლენო (ყურძენი ჯანიდან), წითელი ფერის, მაგარი და არომატიული. 3) მტევან-ღირის ლენო (ყურძენი მტევან-ღიდიდან), წითელი ფერის, მაგარი და სურნელოვანი. ეს ლენო გადატან-გადმოტანას კარგათ იტანს.

სამეგრელოში განთქმულია ოჯალეშის ლენო (ყურძენი სენაურიდან). ეს ლენო არის მუქი წითელი ფერის, მაგარი, სქელი; სასიამოვნო სურნელოვანი; თავის გემოთი და სიმაკით მოგვაგონებს გეროპოლ ბურგუნდის და პორტევის ლენოებს. კარგია აგრეთვე კოლოშის ლენოც. ოჯალეშის ლენო ადგილობრავი 3—4 მანეთათ ღირს საწყავი.

ყურძენის ჰქვდან გურია-სამეგრელოში არაყს ხდიან, რამაც უკანასკნელ წლებში საღებ-მიცემო ხასიათი მიიღო. ეს საქმე ისე გავრცელდა გურიაში, რომ 1891 წ. 70 მეტი არ ყოფილა არაყის სახადი ქარხანა, ხოლო 1894 წელში ხეთასამდე ავიდა. სააქციზო უწყების ცნობებიდან ჩანს, რომ გურიაში ითხი წლის განმავლობაში (1892—1895 წ.) საშუალო რიცხვით 1.213,925 გრადუსი სპირტი გამოუხდიათ წლიურათ, ხოლო სამეგრელოში 51,157%. მთელ ქუთაისის გუბერნიაში გამოხდილი სპირტის რაოდენობა 76% მოდის გურიაზე, ხოლო 3% სამეგრელოზე. ეს სპირტი იყიდება გრადუსი 10 კაბ. და უტარებს გურიას წლიურათ არა ნაკლებ 60,000 მანეთისა.

შესაძლებელია თუ არა გურია-სამეგრელოში ადგილობრავი ვაზის გამოზრუნება? შესაძლებელია, თუ კი მოვიწოდებთ და ხელიდან არ გავუშვებთ ასეთ სასარგებლო საქმეს. ნიადაგი და ტოპოგრაფიული პირობები ხელს გვიწყობს ფილოქსერასთან და ვაზის სხვა სენთან გასამკლავებლათ. ამერიკული ვაზის მოზრუნება უკვე ნაცალია სამეგრელოში პირანკესა ჰაუ-

რატის მამულში, სადაც ცდას კარკი შედგვი მოჰყოლია. ამერიკული ვაზი მოუშენებია და ზედ ადგილობრავი ვაზი უმყნია თ. ერ. ნაკაშიძესაც გურიაში, თავისავე მამულში. აქაც კარგი შედგვი მოჰყოლია ცდას. აქედან ჩანს, რომ ადგილობრავი ვაზის დაზღვრათ მოზრუნება გურია-სამეგრელოში შესაძლებელი ყოფილა, საქირია არსებულს მაღლარს თავი დაანებონ და გააშენონ უფრო დაბალი მაღლარი, რომელსაც ეწოდება ოლიხნარი. ამ შემთხვევაში ყოველ გვარი საშუალების მიღება შესაძლებელი იქნება, ახლა კი მაღლარის წამლობა ყოველად შეუძლებელია. იზაბელა, რასაკირეელია, იმათ არ ღირს, რომ მას უწამლონ და ხარჯი გასწიონ.

იმედი უნდა ექონიოთ, რომ გურია-სამეგრელო ისევ დაიბრუნებს იმ სახელს და მნიშვნელობას, რაც მათ წინეთ ჰქონდათ თავისი კარგი ლენოებით.

სასურველია; კეკელიძის საფილოქსერო კომიტეტი შეაკრებიანდეს მცოდნე პირს ასეთსავე ცნობებს, როგორც თ. ერ. ნაკაშიძის მიერ შეკრებილი ცნობებია—მევენახობა-მეღვინობის შესახებ, მებაღობა მებრუნობის და საქონლას მოზრუნების შესახებაც გურია-სამეგრელოში.

თ. გიკვაძე

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА „НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“


на 1897 годъ.

(четыренадцатый годъ изданiя).

УСЛОВIЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ	10 р. — к.	На 6 мѣсяцевъ	6 р. — к.
„ 11 „	9 „ 50 „	„ 5 „	5 „ 25 „
„ 10 „	8 „ 75 „	„ 4 „	4 „ 75 „
„ 9 „	8 „ — „	„ 3 „	3 „ 50 „
„ 8 „	7 „ 25 „	„ 2 „	2 „ 75 „
„ 7 „	6 „ 50 „	„ 1 „	1 „ 50 „



ეოგენა ბოქაული და თე-გადასავალი ეაშნა; საწყალი შეფლას მოელოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ბოქაულმა შემწვობის ნაცელათ, შემდეგი პასუხი მისცა: აბა რა უნდა ექნა, კაცი გამოეყენო, მოჰკლავენ და კლდეაო, ისევ შენ მოითმინე როგორმეო. მგზავრიც იძულებული იყო მოეცადა და თავის საქმეს მომცდარიყო.




ბ. ძნელაძე.

p.—კვერცხის pronucleus, pr.—სპერმატოზოიდის pronucleus.

აქ ნაჩვენებია, თუ რა მდგომარეობაშია საკვერცხო უჯრედი, როცა მას სპერმატოზოიდი შეუერთდა და განაყოფიერდა.

არიან ჩაერდნილნი. ხანდისხან პარაკვეობით ჩამოაქვთ ხოლმე ჩოხატაურში სოფლის ქალებს თითო-ორჯოლა ბათმანი სიმიდი, მიაქვთ ეპკრებთან; ეპკრები პირველათ განაზღვებიან და მერე, თუ აღეს მცირე ფასში, ფულის მაგიერ აძლევენ ერთ ნაჭერ პურს და რამდენსამე ტარანა თევზს.

კარგს იზამდა აქაური პოლიცია, ყურადღება რომ მიექცია ჩოხატაურის მებურთებისათვისა. იმის მიუხედავად, რომ პურს ძვირათ ჰყიდიან, ისეთი უგემური, ყვითელი და ჩაღსავით გამოფუტურებულთა, რომ არაფერს არა ჰგავს. ამასთანავე კვირა ისე არ გაივლის, რომ აქ ჩოხატაურის რაინდებმა ჩხუბი და უწყობა არ გამართონ. ამას წინეთ ერთი უცხო ყმაწვილი ჩოხატაურისაკენ მიდიოდა „ცხენით. ბაზარში შესვლისათანავე მას დაუბედურ ჩოხატაურის ახლანდელი რაინდები და ამაყათ შესძახეს მგზავრს: „ჩამოხტო“ ცხენიდან, ცხენი გეპირდებაო! ყმაწვილს გაუკვირდა უცნობ ნებატონების საქციელი და არ უნდოდა ცხენის დათმობა, მაგრამ იმათ დამორჩილეს და წაართვეს. თორმე კიდე სხვა ცხენები იქვე ჰყოლოდთ: შესხდენ და გასწიეს სადღაც, ყმაწვილი კი გამწარებული დარბოდა და დაეძებდა პოლიციას, რომელიც ჩვეულებისამებრ არსადა ჩანდა. საკვირველია, რომ ამოდენა ბაზარში წესიერების დამკველი არა ჰყავს ადგილობრივ პოლიციას. ეპკრები ფუტკარივით ირეოდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს აზრათაც არ მოსკლია წესიერების დაცვა. ყმაწვილს, როგორც იყო, დიდის ძებნის შემდეგ, ძლიეს



სურ. VI.

A. ბ B.—blastula. C.—F.—gastrula. ec.—ექტოდერმა. en.—ენდოდერმა. m.—მეზოდერმა. n.—ნატივო ღარი და მილი. ch.—chorda dorsalis, რომელიც სატივო მილს გარშემო შემოეყვება და ხერხემლებათ ვარდიქცევა.

ცხოველთა შთანაჩენის განვითარება.

II ა).

სარწმუნოება და ცოდნა სრულდებოდა სხვა-და-სხვაობენ. ორივე სხვა-და-სხვა გზას აღვას. ორივე სსწორას მოგვავიწყებს, რომლის ერთი ბოლო დაიწყებს ხოლმე მამან, რიაც მეორე ბაიწვს.

ბიუნენრი.



ჯერედი წარმოადგენს ლორწოვანსა და გამჟღავნებელ სითხეს. ვისაც კვერცხის ცილა უნახავს, მას ადვილათ შეუძლია წარმოიდგინოს, თუ ეს სითხე რა ნაირია. ალა-ალავე ეს სითხე შესქელებულია. ამიტომ ისეთ შთაბეჭდილებას მოახდენს, თითქოს მასში მარცლები დატივტიობენ. ამ ლორწოვანსა, გამჟღავნებელს, მარცლებიანსა და სობორ სითხეს ზღაზმა ჰქვია. პლაზმა ყოველგან ერთგვარი და ერთნაირი როდია. შიგნით მოთავსებული მისი ნაწილი უფრო თხელი და წყლიანია. გარეთა ნაწილი კი უფრო სქელი და მკვრივეა და თითქმის დახერტილია, დახვეტილი. ამიტომ თვით პლაზმა ორ გვარია: პირველი, შიგნითა პლაზმა ჭაფლაფლაზმა, მეორე კი სპონჯიფორმაზმა. მცენარის უჯრედს გარედან სქელი და ძალზე მკიდრო გარსი აქვს. ამ გარსშია გამოხვეული უჯრედის პლაზმა. ცხოველის უჯრედს კი ან სულ არა აქვს გარსი ან, თუ აქვს, ფრადი თხელი. აქ გარსის დაქსეფულებას, მის მაკვირობას, ასრულებს სპონჯიოპლაზმა. სპონჯიოპლაზმა დახერტილი იმიტომ არის, რომ მის პატარა ხერხელებში მსვლელობა, მდინარება აქვს ჰალოპლაზმას, და ამ ნაირათ ერთი უჯრედის ჰალოპლაზმას დამოკიდებულება და კემზირი აქვს მესობლით მყოფი უჯრედების ჰალოპლაზმასთან. პლაზმაში შუაზე ყოველთეს მოქცეულია მოტივტივე, ძალზე სქელი, მოდილო, სხვა-და-სხვა ფორმისა და სახის მარცალი. სხეული ესე უკანასკნელი წარმოადგენს უჯრედის გულს. გული ჰედილეულის და ნიშნობივ გუონილეუსს შეადგენს უჯრედისათვის. მართალია, ბევრი ისეთი უჯრედი იპოვეს, რომელსაც გულის ნატავალი არ გაჩნდა. ასეთ უჯრედებს უგულო დაარქვეს. ჰექსლიმ მათ მონარება უწოდა. მაგრამ; ამის მოუხედავთ იმულებული ვართ უჯრეცით არსებობა უგულო უჯრედებისა და აღვიაროთ, რომ უგულო

უჯრედი წარმოადგენს გულს, რომელსაც პლაზმა შემოცლილი აქვს. ეს შეხედულება უნდა მივიღოთ იმიტომ, რომ გულს დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უჯრედის გამრავლებასა და ზრდისათვის. გულის ავებულება პლაზმის ნაირივეა. გულიც ორგვარი ნაწილისაგან შედგება უფრო სქელი ნაწილი წითლათ შეიღებება ხოლმე და ძვეის ნაირია. იგი ათას გვართ არის მისლართულ-მოხლართული და დახვეული. ამ ნაწილს სსრმატინი ანუ სსრმატინიანი მასე უწოდებს. ხოლო მეორე ნაწილი გულისა კი უფრო თხელი, წყლიანი და ლორწოვანია. იგი მოთავსებულა ახრომატინიანი ძაფის მარუყუებში, კილოებში. ეს ნაწილი არ შეიღებება ხოლმე. ამიტომ მას დაარქვეს სსრმატინი ანუ ასრმატინიანი მასე. ხშირათ გულში მოთავსებულა მეორე რიგის გული, რომელიც გულის-გულს წარმოადგენს. სხვა წერილმანი ავებულება უჯრედისა და გულისა ჩვენთვის ამჟამათ იმდენათ საგულ-სსმზო როდია. ამიტომ ამას ნურც გამოვეუდგებთ. ეიტყვით მხოლოთ, რომ გარეგანი ფორმა და სახე უჯრედისა ფრიად ცვალებადსა და დაუდგრომელ რასმე წარმოადგენს. თვით სისხლს, სიდიდე ანუ ტანი ავრთვეთ ცვალებადია. საზოგადოთ უჯრედი ისე მცირე ტანისა არის, რომ მისი დანახვა, თუ არ მიკროსკოპით, ისე შეუძლებელია, მაგრამ ხანდახან კი უჯრედი ვევიტრთულა რასმე წარმოადგენს. ნამეტურ მცენარეთა უჯრედები ხშირათ ძალზე დიდი ტანისანი არიან. მაგ., მოიპოვება ერთი ზღის მცენარე, რომელიც შემდგარია მხოლოთ ერთი უჯრედისგან, მაგრამ, ამის მოუხედავთ, იგი მთელ ჩრავს წაშადაგენს. ამიტომ უმიკროსკოპოვით, შეუთარალებელი თვალითაც შეიძლება დავინახოთ და შევაჩნხოთ. ასეთია, მაგ., Caulerpa. ყოველი ცოცხალი არსება, ცხოველია იგი თუ მცენარე, ამ უჯრედებისგან არის ავებული და შედგენილი. მაგრამ უჯრედს შეუძლია იცხოვროს და იჩაივლოს განცალკეებით, სრულიად დამოუკიდებლათ და თავისუფლათ. ასეთ თავისუფლათ მცხოვრებ უჯრედს წარმოადგენს აშეპა, ინფუზორები და სხვა ბევრი ერთ-უჯრედიანი ცხოველები, რომელთ საზოგადოთ Protozoa (პირველი ცხოველები) ეწოდებთ. ამება საზრდოს გარს შემოახვევს თავის ლორწოვან პლაზმას და ამნაირათ ტანში მოიქცევის. მერმე კი მოინელებს. მოძრაობით კი მსუფლოაფაქის საშუალებით მოძრაობს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადინაცვლებს. ამება-ს სვეტოპოდი წარმოადგენს პლაზმის გამოწეული ძაფს. ამ სვეტოპოდებს ხან გამოაშვირს, გამოწევის ამება და ხანაც შემოიკუმპის. ამების სრულიად მსგავსი უჯრედი ჩვენ სხეულშიც მოიპოვება. იგი ამებასავით არჩინათ ცხოვრებს, სა-

*) ის. „ველი“, № 11.

ზრდობს და სხეულბოლოდებოთე დაზოზინობს. ასეთი ამების ნაირი უჯრედი ჩვენ სისხლში გვაქვს. სისხლში არგვარი ბუშტები დატეიტეობენ. ერთი გვარის ბუშტი წითელი ფერისა და სისხლის ნაკადულთან ერთათ ისიც მიდი-მოდის სხეულში ხოლო თავისთავთ კი არა. არა, იგი ნაჯადულს თან მიაქვს. ამ ბუშტების ზრდობა, რომ სისხლი წითელი ფერისაა. მეორე ნაირი ბუშტები კი მოთეთრო, უფრო კი მოყვითაზო ფერისანი არიან. ეს ბუშტები თავის თავთ მიდი-მოდიან, დაზოზინობენ. ამათ სისხლის თუთრს ბუშტები ანუ ლეიკოციტები ეწოდებოთ. სისხლის თეთრი ბუშტი ცოცხალ არსებას წარმოადგენს, წითელი კი — არა. პირველი ყოველი თავისი თვისებებით ნამდვილი და სრული ამებაა, ხოლო კი ჩვენს ტანში მოთავსებული. ლეიკოციტებს დიდი მნიშვნელობა აქეთ ჩვენი ტანმართელობისათვის...

თავისუფლათ და დამოუკიდებლათ მცხოვრები უჯრედი, ამება — უცდელია: იგი მუდამ ცოცხლობს. ძალით, რასაკვირველია, შეიძლება მისი მოკვლა და მოსპობა. ბუნებრივი სიკვდილით კი ამება არ კვდება. ეს საკვირველება იმის შედეგია, რომ ამება და სხვაგვაროთ ყოველი უჯრედი განყოფილ, განმწყვდვილ შრავლდება ხოლმე. ასეთი გამრავლებიან დროს, უჯრედი ორათ განიყოფება, შუაზე თანასწორათ გაწყდება. ორივე, ამ რიგათ წარმოადგარი უჯრედი მთელ დამოუკიდებელ არსებას წარმოადგენს და თავისუფლათ ცხოვრებს. შემდეგ თეთოთეული კიდევ ორათ განიწყვალება. ახლა კი უცეე ოთხი უჯრედი, ცოცხალი არსება წარმოადგა და ამ რიგათ სწორათ მოხდება, რომ უჯრედი ორ თანასწორ უჯრედათ არ გაიყოფება. ამ შემთხვევაში ერთი დედა-უჯრედი უფრო დიდი ტანისაა, მეორე კი მცირეა. უჯრედის ასეთ გამრავლებას კვირტობა ეწოდება. სწორათ ეს მცირე ტანის უჯრედი დიდი ტანისას არ მოზორდება. ამ შემთხვევაში უჯრედების რაოდენობა მატულობს. უჯრედები ერთათ თავს იყრიან იკრიბებიან და უჯრედთა კლონისას შეადგენენ... ორივე გვარი გამრავლება მარტივი და უბრალოა. უფრო სწორათ კი გამრავლებიან დროს რთული პროცესი წარმოებს. ეს რთულობა კი პირდაპირი შედეგია იმ გარემოებისა, რომ გული, ეიღრე ორათ განიყოფებოდეს, ცვლილებათა მთელ რიგს განიცდის ხოლმე. სანამ კი გული ორათ არ განიყოფება, მანამის არც უჯრედი გაწყდება შუაზე. პირველ ორ-გვარ მარტე გამრავლებას მიჩნდებიან გამრავლება ანუ ამიტოზი ეწოდება. ხოლო, როცა გული, ეიღრე უჯრედი ორათ განიწყვალებოდეს, ორათ შუაზე გაწყდებოდეს, ცვლილებათა მთელ რიგს განიცდის, მაშინ გამრავლებას ამიტოზი ანუ კარინეკსიზი ჰქვია. შეეისწავლოთ, როგორ წარმოებს ეს უკანასკნელი.

პირველათ, სანამ გული გაყოფას შეუდგებო-

დეს, მისი ხრომატინი ძაფი შულოსავით არის დახეული. გულის გვერდით მოთავსებულია ორი ახრომატინიანი გამჭკვრაველ სხეული, რომელთა ზოლის სხეულები ეწოდებათ. პირველათ ეს სხეული გაიყოფებიან ორათ და გული მერმე იწყებს გამწყვალებას. რადგან გულის ხრომატინი აქ ძაფის შულოსავით არის დახლოებული და დახეულია, ამიტომ უჯრედის ასეთ მდგომარეობას ეწოდება შუფლას სტადია ანუ Spirem. ასეთ მდგომარეობას შემდეგ გულის ხრომატინი პატარა-პატარა ძაფებათ დაწყდება. ეს ძაფები მოკაულნი არიან ისე, რომ ლათინურ ასოს V-ს ემსავლებიან. ასე მოკაული და ბოძალი ძაფები უჯრედში ისე არიან მოთავსებული, რომ კუთხე, ე. ი. ის ბოლო, რომელთანაც ძაფის თავები შეერთებულია, მიტეული აქეთ შიგნით, წინტისკენ, ბოძალი ბოლო კი გარე, უჯრედის კანსაკენ აქეთ მომართული. ამნაირათ მოთავსებული ხრომატინი უჯრედს მოკამავე ვარსკვლავის მსგავსათ ჰხდის, ამიტომ ამ სტადიას ვარსკვლავის სტადია ანუ Aster ჰქვია. ხრომატინიანი ძაფების გარე-გარემო ახრომატინიანი ძაფებია დაწვდილი. მათი ბოლო პოლუსთან შეერთებულია. ორსავე პოლუსზე კი მოთავსებულია პოლუსის სხეულები — ერთი ერთ პოლუსზეა და მეორე — მეორეზე. ამ სტადიას შემდეგ ხრომატინიანი ძაფები ან ვარდი-ვარდმო გაწყდებიან, და ან სგრძობთ განიქლიტებიან და ამავე დროს ისე შემოტრიკილდებიან, რომ ახლა ბოძალი ბოლოს შიგნით, წინტისკენ მოთავსებენ, კუთხეს კი პოლუსს მიაბჯენენ. მერმე ნელ-ნელა დაუახლოვდებიან ხოლმე პოლუსს და ცოტა ხანს შემდეგ ენახეთ, რომ ძაფების ერთი რიგი მოთავსებულია ერთ პოლუსზე, მეორე კი მეორეზე. ახლა უჯრედი ისეთ შობაქვლილებას მოახდენს, თითქოს ორი ვარსკვლავი შეერთებულიყოს. ამიტომ ამ სტადიას, უჯრედს ან მდგომარეობას ორს ვარსკვლავის მსგავსი მდგომარეობა ანუ Diaster ჰქვია. ბოლოს თეთოთეული ვარსკვლავის ხრომატინი დაიხეება, დაიხლოვდება ისევე ძაფის შულოსავით. ამ გვარათ ორი გული განიდება ხოლმე. ახლა კი თეთი უჯრედი განიწყვალდება, ორათ გაწყდება და ერთი გული ერთ უჯრედში მოექცევა, მეორე კი მეორეში. ამ გვართ წარმოებს ხოლმე რთული პროცესი უჯრედის გამრავლებისას. აქაც განიწყვალის შედეგი იგივეა: უჯრედი ორათ განიყოფება. განსხვავება ის არის, რომ პირველი ორი პროცესი მალე აღწევს მიზანს, მესამე ვარის გამრავლება კი იმავე მიზანთან უფრო გრძელი გზით მიდის. მესამე გვარის განიწყვალის მიზეზი კი ის არის, რომ გულის ხრომატინი სწორეთ, თანაბრათ განაწილდეს ორსავე ახლათ წარმოშობილ უჯრედში.

პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

(ა. შუზინ და დ. ლეს).

წერალი მკარა *)

პარტიათა გამოჩენვა და პარტიათა ბრძოლა.



მ სახით, 1849 წ. წამოყენებული კითხვა: მეფე თუ ხალხი, მთავრობა თუ პარლამენტი, მესამოცე წლებშიაც გადაუტრელი დარჩა. დეპუტატთა ყველა პროგრესიული განაჩენი უარყოფილ იქმნა მთავრობისაგან, მთავრობის ყველა რეპუტაციონური განკარგულება უარყოფილ იქმნა დეპუტატებისაგან. ეს შეჯახება-შეჯახება დაუსრულებელი, ორივე მხარე ერთმანეთს ებრძვის უფროსობისათვის. ორი უფროსის ერთთ მოთავესება შეუძლებელია: ან ერთი უნდა იყოს და ან მეორე. რომელი მთვანი გამარჯვებს? რომელს დარჩება უფროსობა? აი ამის გარეშეშეშო ტრიალებს მთელი პოლიტიკური ცხოვრება. ხალხი, მიუხედავთ მთავრობისაგან ძალ-დატანებისა, ყოველთვის ოპოზიციის წევრთ ირჩებს და პარლამენტში გზავნი, მთავრობა ისევე უკან აბრუნებს, ჩემი მომხრე აირჩიეთო. ხალხი მიიჩნევს წინააღმდეგთ ირჩევს და ასეა მუდამ. რით უნდა დასრულდეს ეს ბრძოლა? პარლამენტს გაუქმებთ? ეს ხომ სრული თვითშეპყრობელობის აღდგენა და მამასადამე მეორე აღჯანყების გამოწვევაა. მთავრობას ამის ღონე არ აქვს. მისი მიზანია ხალხში თავისუფლების წყურვილი მოჩენებითი თავისუფლებით დაკმაყოფილნა, ისეთი კონსტიტუცია განამტკიცოს, სადაც ხალხის წარმომადგენელობაც იქნება, ხალხის სურვილც გამოაშკარავდება, მაგრამ ყველა ეს მოჩენებით უნდა იყოს, გაელენა არ ჰქონდეს, ძალა არ მიეცეს, გასაყალი არ დაუჩრჩეს. მეორე მხრით, ხალხს სურს მთავრობის ძალა იყოს მოჩენებითი, შესწლუდული და ერთიანთ პარლამენტისაგან დამოკიდებული. ორი მოწინააღმდეგე სურვილი, ორი მოპირდაპირე მიდრეკილება! სად არის ხსნა? არსად მანამდე, სანამ ხალხს საშინაო პოლიტიკაზე თქირობს, სანამ კონსტიტუციონალური კითხვები გადასაწყვეტი აქვს და მთელ თავის ძალ-ღონის ამას ანდომებს. ეს კიდევ ცოტაა, ხალხს ამოძრავებდა არა მარტო კონსტიტუციონალური კითხვა, არამედ ნაციონალურიც. 1848 წელს ნაციონალური მოძრაობა რეპუტაცია მოსპო, ძალთ ვაჟქრო. მესამოცე წლებში ეს პრინციპი ისევ წამოადგა და ერის

ყურადღება მიიპყრო. ათასობით დააარსეს აგრეთ წოდებული „ნაციონალური საზოგადოებები“ (Nationalvereine), რომლებმაც ნაციონალური გაერთიანების აზრი გაავრცელეს მთელ გერმანიაში, გააღვიძეს ყველა მივარდნილი კუთხე, ამოძრავეს ყველა შორეული სოფელი და გერმანიის ყველა ნაწილი. მთავრობა ამას მუდამ წინ ელობებოდა და ებრძოდა, მაგრამ ამის ჩაქრობა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა.

ცხადია, ხალხის გულში ორი კითხვა დიდბდა: კონსტიტუციონალური და ცროვენული. ორივე მკვიდრით შეკავშირებულია ერთმანეთთან. ხალხს არ შეუძლია ერთ კითხვაში გაიმარჯვოს ისე, რომ მეორეშიც გამარჯვებული არ დარჩეს. მისი გამარჯვება მთავრობის დამარცხებაა. ხალხი ღვას თავისუფლების და გაერთიანების დედა-აზრზე, მთავრობა არც ერთზე; ორივეს უარ-ჰყოფს. მაგრამ ამასთანავე კონსერვატორთ სურთ ხალხის მოძრაობა მოსპონ და თვითონ გაბატონდნენ. რანაირთ შეიძლება ეს? სად არის საშუალება? საშუალება ერთთ-ერთია: გაერთიანების საქმე იცნას მთავრობამ და მის სისრულეში მოყვანას თვითონ შეუდღვს. თუ მან აქ გაიმარჯვა, კონსტიტუციურ დედაშიც გამარჯვებული იქნება. ბრძოლა მოქალაქობრივი თავისუფლებისათვის არის ბრძოლა შინაური, ერის ნაწილთა შორის. ეს შეიძლება შეწყდეს ან შესუსტდეს მაშინ, როცა მთელ ერს რაიმე საფრთხე მოეღოს. ასეთი საფრთხეა ომი. მამასადამე, პრუსიის ხალხის თვალის ახვევა, მისი ყურადღების გარეთ ვატყუება კონსერვატორთა მიზნათ უნდა გადატყუელიყო. აშკარა თავის ხალხზე გამარჯვება მთავრობას შეეძლო უცხო ხალხზე გამარჯვებით; ნაციონალური გრძობების დაკმაყოფილება უცხო ნაციის დამცირებით, პრუსიის ვაგერმანელება გერმანიის ვაპრუსიელებით. ამისათვის კი მახელია ხელში ასაღები და სისხლია დასანთხევი. ეს მახელიის პოლიტიკაა.

მაგრამ ყველა ამების მოსაზრებლათ და ცხოვრებაში გასატარებლათ საქირო იყო ერთი კაცი. ეს ვერ იქნებოდა პროგრესისტი, ვინაიდან პროგრესისტები საშინაო კითხვებს აქცეიდნენ უმთავრეს ყურადღებას, თხოულობდნენ ჯარის და საშენდრო ხარჯის შემცირებას. მათ სურდათ გერმანიის გაერთიანება არა ომიანობით, არამედ ხალხთა სურვილით და პარლამენტალური წყობილებით. ეს კაცი ვერ იქნებოდა ლიბერალი, ვინაიდან ეერასოდეს ლიბერალებმა სასუთარი პოლიტიკა ვერ აწარმოვეს. მაშინ უნდა იყოს ის? არაიენ, გარდა ერთი კეთილშობილი მემამულისა, არაიენ გარდა ერთი კონსერ-

*) ან. კვადი № 11.

გატარისა, რომელიც თავიდანვე უკიდურეს შემარჯულებით ეკუთვნოდა, არაინ, გარდა იმ პირისა, რომელიც ხალხის ნაციონალურ მოძრაობას მუდამ ებრძოდა და რომელმაც 1850 წ. ქ. ფრანკფურტში მიწვეულ გერმანიის რეისტაგზე (მთელ გერმანიის პარლამენტს ეწოდება რეისტაგი) ასეთი წინადადება წარადგინა: განიდგინოს ხმარებიდან სიტყვები: „Reich, Reichstag, Reichsgesetz“ (გერმანიის სახელმწიფო, სახელმწიფო კანონი და რეისტაგი), რადგანაც გერმანიის სახელმწიფო, გერმანიის სახელმწიფოს კანონი და რეისტაგი ნამდვილათ არ არსებობენ. ამიტომ ამ არ არსებულის გამოშავტეულ სიტყვებს ესაობთ არა მარტო დროებით (vorläufig), არამედ სამუდამოთ (für immer). აი ეს კაცი ღღეს უნდა გამოსულყო კონსერვატორთა მხსნელთა, პრუსიის მეფის გასაძლიერებლათ, პრუსიის ხალხისათვის თვალის ასახვევით და გერმანიის გასაპრუსიელებლათ. მისი სახელია ოტტო ბისმარკ-შონაპუნელი ანუ მოკლეთ, ყველგან ცნობილი ბისმარკი.

ბისმარკმა, როგორც კი სამინისტროში შევიდა, მაშინვე დებუტატებს განუცხადა: თანამედროვე დიდი კითხვის ვადაწყვეტა სიტყვებით და პარლამენტალური უმარადესობით კი არა, რკინით და სისხლით არის შესაძლებელი. (1861 წ. 30 სექტემ.) ესკენ უნდა მიემართა ეს რკინა? ეინ ყადა ირველი? ჩრდილოეთით დანია, სამხრეთით ავსტრია და გერმანიის წერილი სამეფონი, დასავლეთით საფრანგეთი. აი ამითან ბრძოლაში უნდა ჩაერთა პრუსიის ხალხი და მით თეთირო ხალხიც კონსერვატორულ წყობილებებში ჩაება. ხალხი და მთავრობა ერთმანეთს ემტერებიან, ერთმანეთს დაუცხრომელათ ებრძვიან, მთავრობა ამ ხალხს შეატაკებს გარეშე მტერთ და მით იმარჯუებს შინაურ მტერზე! ეს ბისმარკის მოსაზრება გერმანი, გენოოსური და ორგინალურიც იქნებოდა, რომ მის წინ ნაპოლონ მესამეს ნამგარეგონებინა და პრაქტიკაში არ შეეტანა. ბისმარკი ნაპოლონის გზას დაეგა, განაპოლონდა, მაგრამ ეცრობა ორი ნაპოლონისათვის ნამეტანი ეწერა და რაღა ვასაკერეველია ერთ-ერთი რომ გამოჩებოდა.

ბისმარკის მოსაზრება თუ ორიგინალური არ არის, სამაგიეროთ მისი გატარება და განხორციელება სწორეთ რომ ორიგინალური და სამაგალითობა არის, საქმე მარტო მოსაზრებში ხომ არ არის, ამასთანვე საჭიროა მისი განხორციელების საშუალებების დაზოახება. ამჟიარმა მოსაზრებამ, ნაპოლონის მიერ გატარებულმა, დასცა ნაპოლონი, ხოლო ბისმარკის მიერ გატარებულმა ამაღლა ბისმარკი და გენიოსათ გამოაჩინა. ცხადია მიეღი კითხვა ამ გატარების პრაქტისშია. ამის გამოკვლევა თავის-თავით

დიდთ სანტერესოა. ჩვენ კი აქ იმდენათ შეეხებებით ამას, რამდენათაც ის პარტიობას შეეხებოდა. ამით, ჩვენ გგონია, ამ პროცესის დედა-ძარღვიც თვალსაჩინო იქნება. უწინარეს ყოვლისა ჩვენ დავიძახებოთ შემდეგი: ბისმარკი გამოვიდა პრუსიის გაფართოების, გავანერების და გაძლიერებისათვის მებრძოლათ. ეს ნიერავს ერთიანათ სავარეო პოლიტიკას. ყველა პარტია, რომელიც კი ამას მიიღებს, უნდა მიიღოს შემდეგიც: ძლიერა სავარეო პოლიტიკისათვის საჭიროა ძლიერი მხედრობა, ამისთვის საჭიროა დიდი ბიუჯეტი, მასსადავე მთავრობის გაძლიერება და ხალხის წინაშე ყოვლათ შემძლებლათ გამოჩენა. ეს ისეთი ლოიკია, რომ მისი დარღვევა არაფრით არ მოხერხდება. ეს ისეთი კლდეა, რომ, რაც და ეინც უნდა მოხედეს, უთუთ უნდა შესკედეს. მეტი გზა არა აქვს. ეს ისტორიული ლოიკია, შედეგი წესული ისტორიული ლოიკის, შეიქმნა მიზეზათ ყველა პარტიათა არე-დარევის და ოპოზიციის დაშხერევის.


ხალხისთვის ნაციონალური კითხვა შეერთებულთა პოლიტიკურ კითხვასთან. ის ორივესთვის იბრძვის. მაგრამ რაკი პირველი კითხვა ბისმარკმა თავის პროგრამაში შეიტანა, ამით შეიტანა მეორეც. ეს განუყოფელია როგორც ხალხისთვის ისე ბისმარკისთვის. გარჩევა ამით შორის ის არის, რომ პირველი თავისუფლების და უმარადესობის პრინციპზე დასა, მეორე მთავრობის და უმცირესობის — კონსერვატორთა — პრინციპზე. ამისათვის, ნაციონალური გაერთიანება პირველ შემთხვევაში ეერ შესრულდება ისე, რომ რმევე დროს ხალხის უფროსობა ცნობილი არ იქმნას, რადგანაც უკანასკნელი პირველის მიზეზია. ნაციონალური გაერთიანება მეორე შემთხვევაში ეერ მოხდება ისე, რომ იმევე დროს მთავრობის უფროსობა ცნობილი არ იქმნას, რადგანაც ამ გაერთიანებას მთავრობა ახდენს. ასეთია ამით ძირითადი განსხვავება. კონსერვატორები არასოდეს არ ცნობდენ ხალხის არც ნაციონალურ და არც კონსტიტუციონალურ მოძრაობას; ეს სრული ლოიკია. ასეთ ლოიკაში იქნება ოპოზიციაც თავის კონსერვატორთა ნაციონალურ ლტოლივილებს უარჰყოფს, ამით ის უარ ჰყოფს მის კონსტიტუციასაც და რომ ეს ასე უნდა იკუს, ცხადია. კონსერვატორთ თავიდანვე სახელი გავუტუდათ და ხოლხიც მათ აღარ ენდობოდა. მასსადავე ბისმარკი მარტო ამ სახელ-გატეხილ პარტიას ეერ დაეფუნებდა, ხოლო მეორე მისი მომხრე პარტია ვერ-ჯერობით არ სუფევს. საიდან უნდა გამოიჩეკოს ეს მომავალი დასი? რა უნდა ერქვას მას? რა სახელით უნდა გამოვიდეს?

ამას ჩვენ გავიგებთ თუ ეკონომიურ პირობებს

წარმოადგენთ. ინდუსტრიის და ეპქრობის განვითარებაში განავითარა ბურჟუაზია, მისი განვითარებისათვის აუცილებელია ფართო ბაზარი, როგორც შიგნით ისე გარეთ, პრუსიის გაგანიერება და გაძლიერება არის იმავე დროს ბაზრის გაგანიერება და ბურჟუაზიის გაძლიერება. ამიტომ ბურჟუაზია თავიდანვე იბრძოდა ხალხთან ერთად ეროვნული ერთობისათვის. მაგრამ ახლა მას უფრო საინფლი ვროკავშირე გამოუჩნდა, ეს არის მთავრობა ბისმარკში განხორციელებული. ამნაირათ, ბურჟუაზია მოშორდა ხალხს და მიემხრო ბისმარკს, მათი შემაერთებელი კითხვაა ნაციონალური პოლიტიკა. მაგრამ ბურჟუაზია იმავე დროს ლიბერალაც არის. მანასადამე ეს პარტია უნდა იყოს ნაციონალ-ლიბერალი. ახლა ჩემე გავარკვეით მის წარმოშობა, გამძლეერება და ის ყალბი მდგომარეობა, რომელშიაც ის ჩაერადა.

ნ. ყ—ნა.

(შემდეგი აქნება).



გვირგვინი.

(გუბდვნი გაგ ფშაკვლას)



ვმს კითხვზე მწარეთ გაილიმა, თავი გადაქნია და გაბტერებით დამიწყო მზერა.

— ვერ მიხედები, ბავშო, ვერა!—ნაღვლიანის ხმით მითხრა რამდენსამე წაის შემდეგ და განზე გაიხედა.

— რატომ ვერ მიხედები?

— იმიტომ, რომ ძნელათ გამოასაქმელია, ვერ გეტყვი... ვერ გაგავებინებ...

— საიდუმლოა?—კრძალვით შევეკითხე და თვალი ვეღარ მოვაშორე იმის შეწინერ სახეს.

— საიდუმლოა!.. ჰო, საიდუმლოა, საიდუმლო ისეთი, რომელიც, განურჩევლათ მფეისა და გლახაკისა, ყველამ იცის, მაგრამ, — მაინც საიდუმლოა რადგან ერთი მფორეს ვერ მიახვედრებს... შენც, ბავშო, ოდესმე შენც გაიგებ ამ საიდუმლოს და მაშინ, დარწმუნებული დავი, ჩემ გვარათეე უპასუხებ ყველას... ოჰ, რანაირათ ვეროლდე ამ ბაღში ხეტიალით, რა მძიმეა ეს სამკაულები! ბედნიერი ხარ, ბედნიერი... — ამოთხერით მითხრა შეწინერმა ქალმა და თვალთვალში გამიყარა.

— ბედნიერი შენ ხარ, შეწინერებამ! და ბედნიერიცა ის, ვინც შენს ახლო არის, შენის მზერით

ტკებმა. ბედნიერია ის გვირგვინი, რომელსაც შენი თავი აშეწინებს. დიახ, შენ აშეწინებ გვირგვინს, უშეწინათ ვეღარ იციმციმებდენ მისი თვალ მარგალიტები და ეს ოქროს ჯვებით შემოზღულული ქვეყნური ეღმეიც ჯოჯოხეთათ გადაქცეოდა. შენ კი უშმაღურათ შეყურებ ყველაფერს, თითქო არაობა იყოს ის განცხრობა, დიდება და პატივი, რომელიც შენ ცოტრ შეწინერებას ლირსეულათ მოუძღვნა ბედის უხვმა ხელმა. არაობათეე მიგანჩნია ქვეყნისაგან ქება-დიდება, რჩეულ გვირგვინთან ტრუიალი, მორჩილება და სიყვარული... ზიზლით შეყურებ ცისა და ქვეყნის მანათობელ მზეს, რომელსაც შენ თითონ უნდა სძულდე იმიტომ, რომ იმის ეღვარებასა და ციმციმის შეწინერებას მოაკლავო ძლიერება... ყველა შენ გეტრუვის და შეწინერის კი...

— ყველა ამოა!...—სიტყვა მომიჭრა ქალმა.

— და რატომ არის ამოა?

— ვერ მიხედები, ვერა...—წყნარათ წამილპარაკვ და მოაშორდა...

ლონე მიხდილივით მივეყუდე ხეს და გაოცებულნი შეყურებდი ბედის უშმაღურ არსებას, რომელსაც თვისი უმანია ძლიერებით ზეცურთი სასუფეველი ამ ქვეყნათ აეშეწინებინა. დიახ, სამოთხე იყო იქ, ცოტრი ქნარი იკერადა და ამ ხმას უფრთღებოდა ტურფა ასულის სადიღებლათ წარმოთქმული მწყობრი გალობა. სულღირი და უსულთა ყველა ნეტარებას გრძობდა, ყველა საამო ხმით ლალღებდა..

მარტო მე ვიყავი სულ-განაბული, მარტო ჩემი გული ვეღარ აყურებდა სანეტარო გრძობათა სიმებს. ის კი ნარნარის რხევით მიდიდა მარმარილოს კოშკისკენ... რა მიწინერება იყო!.. იმის საროს მშაკეს ტანადობას ერთი ორათ უფრო მეტს ჰაეროვნებას მშატებდა თერთი ატლასის გრძელი წამოსასხამი, რომელსაც გიშრის ფერი ორი დიდი ნაწინაი ფართო ზოლივით გადაქროდა ზედ. გვიღვით ყელ მოღვრებული ქალი ხან მარჯვენა მხარეს გაღაღღებდა ვარსკვლავივით მოელღვრე თვალღვ და ხან მარცხნივ გაღინღვდა. აჰა, ის მიუხლოვდა კოშკის კიბეს, ცალი ფეხი შეღვა კიდვე პირველ საფეხურზე, მაგრამ უეცრათ შეწერდა, პირი ჩემკენ იბრუნა და ისე დამიწყო მზერა, თითქო ცდილობდა, კარგა დევსომებინა ჩემი სახე. მერე რათ უნდოდა? ავი შეურაცხებოდა, —ჭაბუკს ბავში მიწოდა—და განა იმისთვის სულ ერთი არ იყო ვინც ვიყავი?! რანაირათ ეტანებუბოდი! მიწინერ ვინთხელ კიდვე მეკითხნა, რა საიდუმლო იფარებოდა იმის გულში, მაგრამ, თითქო რაღაც უხილავმა ძალამ მიმაჭვდა იმ ხეს: ფეხი ვეღარ წყდგი წინ... ქალი რამდენსამე საფეხურს ასცდა და ზემოდან დამიწყო ყურება. და, რო-

დღესაც იმის ყუაჰოს ფერ ბავთვებან გულ-წარმტა-
ცათ გამოკრთა ბროლის მზგავს კბილთა ელფარება,
მეგონა ქვეყანას ორი მზე დანათის-მეთქი... ის ილი-
მებოდა, მაგრამ მწუხარების გამოძიქმელი იყო ეს
ლიმილი. უკანასკნელათ კიდევ გაღმომხედდა და მი-
ეფარა კოშკის კარებს...

II.

წარბ-მეკრული აღმოსავლეთი შუროთ ვადა-
ჭყურებდა დასავლეთს, რომელსაც ფერად ფერად
დროშ-ბი აფერიალბინა დიდებული სტუმრის პა-
ტივაცემლათ. მზე თავისებურის ბრძნისლის სიღინ-
ჯით მიმგონავდა განსავენებელ ბანასიკენ და ათას
ფერათ აბრჭყვიალებდა ღრუბელთა ნაფულეთებს, რომ-
მელნიც ბამბასავით გადაპნტილიყვენ ლაქვარდ ცის
სივრცეში.

მინდერიდან საოცარი ქრიალი მოისმოდა. მწვემ-
სები მიერეკებოდენ საქონელს. აგერ, ჩემს ახლოს
გაიბრინა პატარა მწვემსმა, ჩამოჯდა ქვაზე და ის
იყო აპირებდა სალამურის აკენესებას, მაგრამ დამი-
ნახა და ტურჩებთან მიტანილი სალამური ძირს და-
უშვა; ერთი შეათვალიერა ჩემი ძვირფასი ტანსაცმე-
ლი და „ჰოროვედას“ ძახლით მოჭკურცხლა ამხა-
ნაგებისაკენ. შემშურდა პატარა მწვემის ბედნიერე-
ბა. თუ არ შური და სისხარზე, მამ რა იყო რომ ისე
მძიმეთ ამოვიოხრე?

დასავლეთის ბრჭყვიალა დროშები ოდნე და
ბეჭტავდნენ. მოვლვარე გვირგვინით გაბრწყინე-
ბულმა კვლას მწვერვალზე შევი ჩაჩი ჩამოიფხუტა
და, ღრმით დაფიქრებულმა, ყური მიაპყრა თვისი
პირმშოს ას-სმოგან ჩქრილ-რაკაკას. ჩანჩქარი მო-
ჭკუნდა, მოცქირალებდა და თავ-ვამეტებით აწუდე-
ბოდა მიწას, რომელსაც მყერი მიემვირა კლდის
გულიდან გაღმონატყორცნ შურდულისათვის.

ნეტა რას გამოჰქენესის ეს ჩანჩქარი, რას ჩას-
ძახის მიწას? ხან სწყვეტავს თავისს რაკაკას, ხან კი
დათვივით აბურღულდებდა, თითქო გული მოსდის
რომ ვერ თანაუტკძნო, ბანი ვერ უთხრა დეღამი-
წამ... ნეტავი მე მესმოადეს ამ-ის ენა! მესმის, რომ
ჰქენესის, ჰქენესის და მეტი კი ვერა გამიგია რა. ვინ
იქის, ვინ უფრო მეტს ეტყობდით ერთმანეთს,—მე
თუ ესა!... ამ გვარ ფიქრებში გართული, წამოწო-
ლილი ვიყავი ამწვემებში მინდორზე და თვალს
ვერ ვაშორებდი ჩემს პირდაპირ ამართული პიტლო
კვდეს. ამ დროს ვილაკამ მხარზე ხელი ცამქრა
და გულიანათ ვადრისკისა.

— ვინა ხარ? — გიჟვით შეეძახე და თვალები
შეგანათე ჩემს გვერდით მდგომს. ის იყო... მხარზე

დღი კოკა შეეძდა და... იცინოდა... გულიანათ იცი-
ნოდა და ამ სიცილოს ზარის ხმასავით იმეორებდა
ბუმბერაზივით წამომდგარი კვლე... ის და ასე გლე-
ხურათ ჩაცმული? კი სერიანა ხომ არ გავეტიდე?

— რას შემომყურებ? იქნება ის გვიკრას, რომ
დღეს შენ გვეუთვნის ის ქება, დიდება და პატივი,
რომელიც ერთ დროს მე მეუთვნოდა! დაე, შენ
ტყებოდე ყველა იმით, მე უიშისოდაც ბედნიერი
ვარ...

— და შენ, ბედნიერი, დასკინი ჩემს უბედურე-
ბას!..

— მე მხოლოდ ჩემი ბედნიერება მაკინებს... ან,
შენ რით უნდა იყო უბედური? დღეს ხომ გაქვს
ყველა ის, რასაც შენ ბედნიერებას ეძახდი, და რაც
ჩემთვის არააააა იყო!.. ახლა ორივე ბედნიერი
ვართ,—მეცა და შენც — და ამიტომ საერთო სიცილ-
მზიარულება გეშარტებს! აჰა, შეხედე ამ ჩემს გვირგ-
ვინს! ეს იმან დამიწნა და ლამაზია არა? — ქალმა მო-
იძრო თავიდან გვირგვინი, მომაწოდა და თანაც დი-
მილით მომჩერებოდა. მე გონება-დაბნეული ვატრა-
ალებდი გვირგვინს, ვერც აეს ვამბობდი და ვერც
კარკას.

— ოჰ, ოჰ, ძალიან ნუ მოუტერ ხელს! რომ
იკვადე, რა ძვირფასია ჩემთვის ეგ გვირგვინი!..

— ეს ვაზის უბრალო გვირგვინი ძვირფასათ
მიგანია შენ, რომელიც თვალ მარგალიტით შემ-
კულ სამეფო გვირგვინს ატარებდი? რატომ გგო-
ნია, შეწინიერო, დღესაც ისეთივე „ბავში“ ვიყო,
როგორც „მამინ“!.. რა დავიშვეე, რომ ასე დამცო-
ნი? რით დამარწმუნებ, რომ შენ ნაზ ტანს, რომელ-
საც ამძიმებდა სამეფო სამკაულები, დღეს მსუბუ-
ქათ ეწვენებოდეს ეს დიდი კოკა და ამ ვარდ-ყე-
რებებით მორთულ ვაზის გვირგვინს ქვეშ ბედნიე-
რებას ჰგძნობდეს შენი, კოურის შეწინიერებით
გაბრწყინებული თავი!.. ან ვინ არის „ის“, რომელ-
მაც უარ-გაყოფინა სამეფო გვირგვინი და სათეთ-
მპყრობელო სკაპტრის ნაცვლათ თიხის კოკა მოგა-
ჩეა ხელში?

— და ყველა ამასთან გაღმამცა თავისი სული
და გული. ამ მინდრის ყვეილებში, რომლითაც
მართულთა ჩემი გვირგვინი, ჩაწულ-ჩაგრებელია
პატრიარხის სული ჩემის სატრფოსი და ერთათ შე-
კავშირებელი ორი სული ცას შეუღლება სვეტათ,
არამც თუ წყლით სავსე კოკის აზადვა გაუჭირდეს!
ნუ თუ აქამდე ვერ შეეგინა, რომ ყოველივე დი-
დება და პატივი, რაც სხუთათ ფიქრით ბედნიერებას
უნდა ანიჭებდეს კაცს, ამაოა სულით ობოლთათვის!..
სამეფო პალატი, რომლის მბრძანებლათაც მე ვიყა-
ვი, ჩემთვის იყო გაუქმებული ტაძარი, სიღნაღ

საღმრთო ღაღადისის ნაცვლათ, ქვემძრომთა სისინ-
 ყიფინ მესმოდ... გარს შემოარტყმული ამაღა მერე-
 ნე მიცვალბულთა მატურებათ, ამ უსულო მ-
 ტუ შორის დაგებტილობდი მე და არ ეცილოდ,
 საღ მიმეყრდნო ტანჯული თავი. ა. ამ გულს უტყრათ
 შემომგმმა სალოამურის ზმა, და ს... გულმა ისე იწ-
 ყო უკრიალ-ფართქალი, თითქო სალოამურის და-
 მკერული ჩემს ვულის სიმებს შეებო და ამაკენსა-
 ... გამოჩნდა კიდეც ახალგაზდა მწყემსი: ტყის პი-
 რათ იღვა და ისე საცოდავით შემომკურებდა, თით-
 ქო ობოლმა დედის აჩრდილს მოჰკრა თვალიო! იმი-
 თი ფერ მკრთალი, მშვიდობიანი სახე უტყუარი სარ-
 კე იყო მასში მოათესებულის სულის შეწინიერებისა
 და ჩემმა ობოლმა სულმაჲ. იქ იბოვა სამუდამოთ
 განსაყენებელი ბინა. თავი მივაყრდნე ახალგაზდა
 მწყემსის მკერდს და როდესაც იმისი ბაე ჩემსას შე-
 ებო, მეგონა ჩემთვის უხილაგმა ციურმა ძალამ ჯო-
 ჯობნითიდან სამართებში გამტყარუნა მეთქი... რატომ
 გიციერს, რომ დღეს თავს ველო სრულ ზედნიერათ
 და ჩემი სატრფოს ხელით დაწულთ უზბალო გვირგ-
 ვინს არც ერთ სამეფო გვირგვინზე არ გავცელი! ჩუ!
 აგერ ისიც... — წამოიძახა ქალმა და ლოყებ აწითლე
 ბული გაქანა მწყემსისაკენ.

— ნელა, ნელა, ჩემო ანგელოზო, თორემ
 წყალმა სულ დაგისევლა კისერი — შემოსძახა მწყემს-
 მა და გაუცინა თავის სატრფოს, რომელიც ყუ-
 რადღებას არ აქცევდა იმას, რომ აჯანყებულ
 კოკიდან წყალი გადმოდიოდა და მხარბეჭს უსყე-
 ლებდა.

ქალი კისკისებდა, სიცილით დნებოდა... ერ-
 ხელ კიდეც გამოიხედა ჩემკენ და ამაყურათ გაისწო-
 რა თავისი გვირგვინი.

ჩამობნულდა... მ სწუდა ქვეყნიურთა ქრიაამული.
 ბუნებამ საიდუმლო ჩურჩული შეჰქმნა, მაგრამ დაუ-
 დევარა სილის მანც არა დაადგა-რა ენაზე: ქორიკანა
 დედაკაცივით, გაძვრა-გამოძვრა და ვის რა არ მი-
 უტიტინა, ვინ იცის!

„რას ოხრავ, მეფე ქვეყნის დიდება ხომ შენს
 ხელთ არის!“ — ჩამოიძახა ვიღაცამ.

— არაორობა!.. დღე სხვამ იხაროს ამ დიდებით...
 მე კი მხოლოთ, მხოლოთ ვაზის გვირგვინი მენატ-
 რება...

მიწათ-მელთაშობილება აფხაზეთში *)

სხლა ვაღვიდეთ „ობშინათა“ ნადლეების გა-
 რეზე მიწებზე. „ობშინათა“, ნადლეების გა-
 რეზე, რაც მიწებზე აფხაზეთ-სამურთაყანოში,
 ზოგი სახელმწიფოთა, ზოგიც მემამულეთა კერძო ნა-
 დლეებია.

ზემოხსენებულ რუს-ოსმალოთა ომიანობის დროს
 (1877 — 1878) მოგვხსენებთ, აფხაზეთი გახდა სამხე-
 დრო მოქმედების ასპარეზი. აფხაზეთი იძულებული
 შეიქნენ თავიანთი სახლ-კარი მიეტოვებინათ და იქით-
 აქეთ გახიზნულიყვენ. ბევრიც, ნებსით თუ უნებლიეთ,
 ოსმალეთში გავიდა. როცა, ომიანობას შემდეგ, ისევ
 თავის სამშობლოს მოუბრუნდნენ, იმათ აღეკრძალათ
 დასახლება მდ. კოდორსა და ახსთას შუა, სოხუმის
 გარშემო მდებარე ადგილებზე. ასეთი განკარგულება
 მთავრობამ იმ განზრახვით მოახდინა, რომ სოხუმის
 ახლო სახელმწიფოსთვის უფრო საიმედო და დებსახ-
 ლებინა და, როგორც ამბობს ბ. რიბინიძე აფხაზეთ-
 ში გავრცელებული ქურდობა რომ იმდენით მაგენ-
 ბელი და მახარალებელი არ ყოფილიყო კოლონის-
 ტებისათვის, იმ კოლონისტებისათვის, რომლებიც ჯერ
 კიდეც მუშაჯირობის დროს შემდეგ აფხაზეთის
 გათავისუფლებულ ადგილებზე ნელ ნელად ფეხს
 იკლბდნენ. ამ სახით აფხაზეთი ახლა მიყრდნობით ერ-
 თვან არ ცხოვრებენ სოხუმის ოლქში, არათი ნაწილი
 ცხოვრებს კოდორის „უჩასტკაში“ მხურვასა
 და კოდორს შუა (აბუყეულები), მეორე ნაწილი
 (ბზიფელები) გუდაუთის ნაწილში.¹⁾ ეს — აბუყე-
 ულები და ბზიფელები — თითქმის ორი დღის საეაღზე
 დაშორებულნი არიან ერთმანეთზე, ასე რომ მთ
 შორის მისელა მოსვლა, კეშირი ერთმანეთში თა-
 ვად აზნაურობას თუ შეუძლია. ხოლო ცხელი აფხა-
 ზეთის იმ შუა საუკეთესო ნაწილში, სადა აფხაზეთს
 დასახლება აღეკრძალათ და რომელიც ახლა გუმის-
 თის ნაწილს წარმოადგენს, არც ერთი აფხაზეთა „ობ-
 შინა“ არ მოიპოვება. აქ სულ სახელმწიფო მიწებია
 და კერძო მემამულეთა ნადლეები. ამ სახელმწიფო
 ადგილებზე მოსახლეობენ კოლონიებთ: ომიანი
 გერმანელები, მეგრელები, ბერძნები, ესტონელები
 და სომხები, ამ კოლონისტებში მეგრელები, თუ
 პირველი არა, მეორე ალაგი მაინც უტირავს რიცხ-
 ვით. ზემოხსენებულ რუს-ოსმალოთა ომიანობას შემე-
 დგე, თავდაპირველათ მეგრელებს და საზოგადოთ

*) იხ. „რეკლამი“ № 11.

1) ის აფხაზეთი კილო, რომელითაც დაზარალებულნი
 აზიფელები, ცოტათი განიხილეს აბუყეულების აფხაზეთი
 კილოდნ. ერთმანეთის დაზარალებულნი სრულათ, რა-
 საკვირვებელია.

განკველი.

